აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მთავრობის საქმიანობის ანგარიში

2023-2024

შესავალი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გრძელდება მუშაობა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის განვითარებისა და დახვეწის, განათლების თითოეულ საფეხურზე სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები ემსახურება აჭარის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ადამიანური კაპიტალის, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორის გაძლიერებას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, ტურიზმის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ აქტივობებისა და ღონისძიებების თაობაზე, რაც მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში იქნა განხორციელებული.

ეკონომიკური განვითარება

მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ეკონომიკის განვითარების ყველა მიმართულებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეკონომიკის სტრუქტურა და გაიზარდა ინკლუზიურობა. ეკონომიკის სწრაფი ტემპებით გაჯანსაღების პროცესი გრძელდება როგორც ქვეყნის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე. ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა, რამაც შესაძლებელი გახადა პანდემიის ეფექტის სრული კომპენსირება. ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციით არა ერთი პროექტი დაიწყო და განხორციელდა. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე, რაც ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

ეკონომიკური მაჩვენებლები

მთლიანი შიდა პროდუქტი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ (მიმდინარე ფასებში) 2022 წელს 6.9 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 23%-ით აღემატება;

- მთლიან შიდა პროდუქტში ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა მშენებლობის (16%), უძრავი ქონების (13%), ვაჭრობის (10%) სექტორები;

- 2018-2022 წლებში, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 14.8% შეადგინა. არსებული პროგნოზით 2023 წელს ეკონომიკის ორნიშნა ზრდა შენარჩუნდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: 2023 წლის წინასწარი მონაცემებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელმა 96.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 64%-ით აღემატება;

- წამყვანი სექტორებია: ხელოვნება, გართობა და დასვენება (46.2 მლნ აშშ დოლარი); საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (36.6 მლნ აშშ დოლარი), ტრანსპორტი და დასაწყობება (19.7 მლნ აშშ დოლარი).

ბიზნეს სექტორი: 2023 წლის ბიზნეს სექტორი კვარტალურ მაჩვენებლებშიც ზრდის ტენდენციაა: IV კვარტლის მონაცემებით - ბრუნვა გაზრდილია 7%-ით, გამოშვება - 15%ით, ხოლო დასაქმება - 8%-ით.

ფინანსური სექტორი: 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ჯამურმა მოცულობამ 4.6 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 26%-ით აღემატება. სასესხო პორტფელის 55% გაცემულია უცხოურ ვალუტაში, ხოლო 45% - ეროვნულ ვალუტაში. სესხების 67% გაცემულია ფიზიკურ პირებზე.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკა

ტურიზმის განვითარების სწორი და ეფექტიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გატარების შედეგად, რომელიც ეფუძნება ტურისტული პროდუქტებისა და ბაზრების დივერსიფიკაციას, ქვეყნის პოზიციონირებას ეფექტური მარკეტინგული კამპანიების მეშვეობით და ინდუსტრიის თანმიმდევრულ მხარდაჭერას, ქვეყანაში სახეზეა ტურიზმის სექტორის დინამიური განვითარება. წარმოდგენილი კომპლექსური ინიციატივების ეფექტიანობა ნათლად აისახება მიღწეულ შედეგებზე, კერძოდ, 2023 წელს საქართველომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების კუთხით უპრეცედენტოდ რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია, როდესაც, პირველად ისტორიაში, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 4.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რითაც 26.2%-ით გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებელს.

ტურიზმის დინამიკა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუდმივად მზარდია. ტურიზმიდან და მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები 2019 წელთან შედარებით გაორმაგებულია. 2023 წელს, შიდა და უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 4 691 633 ვიზიტს შეადგენს, რაც 2022 წელთან შედარებით 20%-თ, ხოლო 2019 წელთან შედარებით 10,4%-ით გაზრდილია. 2023 წელს, გაზრდილია ვიზიტები და ფრენები ბათუმის საერთაშორისო აეროპორტშიც.

უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა გაზრდილია 2024 წლის პირველი კვარტლის მონაცემებითაც. მიმდინარე წლის, იანვარ-მარტის თვეების პერიოდში 363 021 უცხოელი ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა, რაც +8.7%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს, 2019 წელთან შედარებით კი გაზრდილია +44.2%-ით.

ტურიზმის განვითარების მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცნობადობის გაზრდა, როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული მიმართულება, რომელიც გამორჩეულია თავისი კულტურული და ბუნებრივი

მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმართმასპინძლობის უძველესი ტრადიციებით.

საერთაშრისო აღიარებები

2023 წელს ქ. ბათუმის მიერ ორი პრესტიჟული ჯილდო იქნა მოპოვებული. World Travel Awards-ის ევროპის ჯილდოს მოპოვების შემდეგ ბათუმმა ტურიზმის „ოსკარი", უკვე როგორც მსოფლიოს ოთხი სეზონის ტურისტულმა მიმართულებამ მოიპოვა.

2023 წელი ავტონომიური რესპუბლიკისათვის ტურისტული თვალსაზრისით გამორჩეული წელი იყო. ბათუმმა უმასპინძლა მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების WORLD TRAVEL AWARDS-ის ევროპის საიუბილეო გალა ცერემონიას, რომელსაც მსოფლიოს 24 ქვეყნიდან 300-მდე უცხოელი სტუმარი დაესწრო.

2023 წელს ბათუმი ბრიტანულმა ონლაინ გამოცემამ INDEPENDENT- ის რეიტინგშიც მოხვდა და ის INDEPENDENT-მა ევროპის ზაფხულის 10 საუკეთესო ტურისტულ მიმართულებას შორის დაასახელა. ევროპული ქვეყნების ჩამონათვალში საფრანგეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, ხორვატიისა და შვეიცარიის გვერდით ბათუმმა მეორე ადგილი დაიკავა.

საერთაშორისო აღიარებით დაიწყო 2024 წელიც. ევროპის პრესტიჟულმა სამოგზაურო პლატფორმამ European Best Destinations-მა ბათუმი 2024 წლის, ევროპის 5 საუკეთესო ტურისტულ მიმართულებას შორის დაასახელა. სამოგზაურო პლატფორმამ მოგზაურებს 2024 წლისათვის საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, შვეიცარიის პოპულარულ მიმართულებებთან ერთად ბათუმში მოგზაურობა ურჩია. აღნიშნულის შესახებ სტატიები ისეთმა პოპულარულმა მედია-გამოცემებმა გამოაქვეყნეს, როგორებიცაა:
Forbes, Conde Nast Traveller, Sapo Brasil, Viaggi Corriere, Yahoo France და Ouest France.

2023 წელი მნიშვნელოვანი წელი იყო ბათუმის საფეხბურთო სტადიონისათვის. ქალაქის სავიზიტო ბარათმა, ბათუმის საფეხბურთო სტადიონმა მსოფლიო დაჯილდოებაზე FIABCI World Prix d'Excellence Awards 2023, უძრავი ქონების ოსკარი მოიპოვა. საერთაშორისო დაჯილდოება ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაიამში გაიმართა.

2023 წლის ივნისში, ბათუმმა უეფა-ს 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა, ბათუმში გაიმართა ჩემპიონატის ფინალიც. ევროპის ჩემპიონატის თასის მოგზაურობაც სწორედ ბათუმიდან დაიწყო.

გასულ წელს, პირველად ბათუმმა ევროპის სოფლის ტურიზმის გენერალურ ასამბლეასა და სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. მთიანი აჭარის ახალ ტურისტულ მიმართულებებს ინფოტურების ფარგლებში 200-ზე მეტი გიდი და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი გაეცნო.

აქტიურად მიმდინარეობს ავტონომიური რესპუბლიკის ცნობადობის გაზრდა და ტურისტული შესაძლებლობლობების პოპულარიზაცია 25-ზე მეტ სამიზნე ქვეყანაში. იგეგმება მარკეტინგული კამპანიები და სამიზნე ქვეყნებში ტარდება რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების საპოპულარიზაციო ღონისძიებები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოდგენილია ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურისტულ პლატფორმასა და ღონისძიებაზე.

ITB BERLIN: 2023 წელს, საქართველო ITB ბერლინის მასპინძელი ქვეყანა იყო. ITB ბერლინი მსოფლიოს ყველაზე დიდი ტურისტული გამოფენაა, სადაც მსოფლიოს წამყვანი ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები იყრიან თავს. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, აჭარის რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოზიციონირების მიზნით განხორციელდა სპეციალური კამპანია, რომლის ფარგლებშიც „ბერლინ მესსე-ს" სამხრეთ შესასვლელები ბათუმის ბანერებით დაიბრენდა. ასევე, აჭარის რეგიონის მიერ ტურისტული

შესაძლებლობების პრეზენტაციით გაიხსნა ITB BERLIN-ის 2023 წლის სათავგადასავლო ტურიზმის პავილიონი.

EURONEWS: ჩატარდა ორთვიანი კამპანია EURONEWS-ზე. კამპანიის ფარგლებში ევრონიუსის ეთერში გადიოდა ქ. ბათუმის ვიდეორგოლები და მომზადდა გადაცემა ტურისტული პროდუქტების შესახებ. BBC: ჩატარდა სარეკლამო კამპანია, სადაც საეთერო ბადეში ჩაეშვა ბათუმის მრავალფეროვნების ამსახველი ვიდეორგოლები.
DEUTSCHE WELLE: ჩატარდა სატელევიზიო სარეკლამო კამპანია ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ Deutsche Welle-ს გერმანულენოვან არხზე; INDEPENDENT: ბრიტანულმა INDEPENDENT-მა ბათუმის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. EARTHPIX-ზე ჩატარებული კამპანიის ფარგლებში ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ მომზადებულმა სარეკლამო კამპანიამ (ვიდეოები) EARTHPIX-ზე დააგროვა 80 მილიონზე მეტი ნახვა. WizzAir: ავიაკომპანიის საჰაერო ხომალდების ბორტზე ვრცელდება ჟურნალი ,,Wizz", სადაც მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, გამოცემებში განთავსდა ბათუმისა და აჭარის რეგიონის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტებისა და აუცილებლად სანახავი ტურისტული ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაცია. Air Baltic: ავიაკომპანიის საჰაერო ხომალდების ბორტზე ვრცელდება ჟურნალი ,,Baltic Outlook", სადაც განთავსდა ბათუმის ტურისტული პოტენციალის ამსახველი სარეკლამო სტატია.

სპორტული ტურიზმის პოპულარიზაცია: ბათუმის, როგორც სპორტული ტურიზმის მიმართულების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა სარეკლამო კამპანია და დაიბრენდა ესპანეთი-საქართველოს რაგბის ევროპის ერთა თასის მატჩზე, საქართველოს რაგბის ნაკრების მოთამაშეების მაისურები ბათუმის ლოგოთი. აღნიშნული მატჩი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა თითქმის ყველა კონტინენტზე. ასევე ბათუმის ლოგოებით

დაიბრენდა საქართველო-რუმინეთის რაგბის ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩზე, საქართველოს რაგბის ნაკრების მოთამაშეების მაისურები.

ბათუმისა და აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ ავსტრიულ გამოცემაში NEWS REGION გამოქვეყნდა ბათუმის ტურისტული, სპორტული და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ მასალა. გალფის ქვეყნებში პოპულარიზაციის მიზნით დაიბეჭდა სტატია ბათუმის შესახებ გამოცემა KHALEEJ TIMES- ში.

ბათუმში ჩატარდა ბათუმის ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი (BITF) თემაზე „მდგრადი ტურიზმის განვითარება, მარკეტინგი და ციფრული ტრანსფორმაცია" ქართველი და უცხოელი სპიკერების ჩართულობით; ფორუმს დაესწრო 200-ზე მეტი ქართველი და უცხოელი დელეგატი.

საქართველო-თურქეთის სახმელეთო საზღვრის ტერიტორიაზე საქართველოს ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით დაიბრენდა სარფის საბაჟო პუნქტის ქვეითთა შესასვლელი დერეფანი და მიმღები დარბაზი.

მედია ტურები: აქტიურად მიმდინარეობს შეხვედრები და იგეგმება მედია-ტურები, რომლის ფარგლებში რეგიონს სტუმრობენ ცნობილი ბლოგერები, წამყვანი მედიისა და პრესის წარმომადგნელები.

აჭარის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციისა და შიდა ტურისტების მოზიდვის მიზნით განხორციელდა აქტიური სარეკლამო კამპანიები, ორგანიზება გაეწია პიარ და მარკეტინგულ ღონისძიებებს, პრეს და ინფოტურებს მთიანი აჭარის ახალ ტურისტულ მიმართულებებზე.

ტურისტული პროდუქტების და ინფრასტრუქტურის განვითარება

ავტონომიურ რესპუბლიკაში ხორციელდება „ეთნოსოფლის“ პროექტი. პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე უკვე დასრულდა თანამედროვე სტანდარტების ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა. „ეთნოსოფლის“ პროექტი რამდენიმე წელზეა გათვლილი და ზოგადად მოიცავს მაჭახლის ხეობაში სხვადასხვა ლოკაციაზე საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას, ისტორიული და ეთნოგრაფიული ძეგლების რეაბილიტაციასა და სხვა ტურისტულ-ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

ზედა ჩხუტუნეთის საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს.

პროექტით ასევე დაგეგმილია მაჭახლის ხეობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ამ ნიშნის მატარებელი ობიექტების რეაბილიტაცია, ხიდის რეაბილიტაცია, მაჭახლის ხეობაში ალივაკეს და გვარას ციხის რეაბილიტაცია, ე.წ „მაჭახელას თოფის გზის“ ფარგლებში, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

აჭარის მთიან მუნიციპალიტეტებში აქტიურად მიმდინარეობს ტურისტული პროდუქტებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება.

ევროპაში ყველაზე გრძელი ორზოლიანი ზიპლაინი მოეწყობა ჩირუხის მთაზე.

მასშტაბური პროექტის მშენებლობა მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება. „არა ნაკლებ 1 752 მეტრი სიგრძის ზიპლაინი „არწივის ბუდის“ დიზაინით აშენდება და ექნება პანორამული ხედი ხეობაზე. ზედა სადგური ზღვის დონიდან 2496 მეტრ სიმაღლეზე განთავსდება. ზიპლაინის ქვედა სადგურში ტურისტულ-ვიზიტორთა ცენტრი განთავსდება. ტერიტორიის არეალი დაახლოებით 3500 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. შენობაში კაფეტერია და ტერასა მოეწყობა. ორივე სადგურთან პარკინგი, ველოსადგომები და შესაბამისი განათებები განთავსდება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე, ისპანის ტორფნარზე სრულდება გარემოსთან ადაპტირებული საფეხმავლო ბილიკების მოწყობა და არსებული ხიდების რეკონსტრუქცია. უკვე დაიწყო ისპანის ტორფნარზე ეკოტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გადამფრენი ფრინველების სათვალთვალო კოშკისა და გადმოსახედი პლატფორმის მშენებლობა. შემდეგი წლისათვის კი ნაკრძალს მოსასვენებელი სივრცეები, ვიზიტორთა ცენტრი და ავტოპარკინგი დაემატება.

სახალვაშოსა და ჩაქვისთავში განახლდა **ფრინველებზე დაკვირვების პლაფორმების** ინფრასტრუქტურა. სექტემბრის თვეში ჩატარდა ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ერთკვირიანი ფესტივალი, რომელსაც ესწრებოდა 100 ზე მეტი უცხოელი და ქართველი ორნითოლოგი, ფრინველებზე დაკვირვების სპეციალისტი.

ასევე, გრძელდება ქობულეთის სოფლების განიშნულიანება და მარშრუტების მარკირების პროექტები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - მირვეთის ჩანჩქერთან და ტურისტულ ბილიკზე მოეწყო ინფრასტრუქტურა და ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკები.

კაპნისთავში მოეწყო და ამოქმედდა კანიონინგი ბილიკი და ახალი ტურისტული მარშრუტი. ასევე, გრძელდება ხელვაჩაურის სოფლების განიშნულიანება და მარშრუტების მარკირების პროექტები.

ქედის მუნიციპალიტეტი - სოფელ დანდალოში, მოეწყო **დანდალოს ჩანჩქერთან მისასვლელი საფეხმავლო ბილიკი**. ასევე, საპიკნიკე ინფრასტრუქტურა მოეწყო მთა **ნაკონაღვარსა და მთა მილისზე.** საოჯახო სახლებისა და ტურისტული ლოკაციების მარკირებისათვის ნიშნულები დამზადდა-დამონტაჟდა შემდეგ სოფლებში: ჯალაბაშვილები, მერისი, დანდალო, გეგელიძეები, ინაშარიძეები. საფეხმავლო მარშრუტის მარკირება განხორციელდა ოქტომბერი-მთა დიდვაკე-ადგილი ნაკონაღვარი-სოფელ მეძიბნას მარშრუტზე.

შუახევის მუნიციპალიტეტი - მიმდინარეობს **ჩირუხის მთის** და **ღომას მთის** ტურისტულად განვითარება. უკვე მოეწყო საპიკნიკე ინფრასტრუქტურა **ჯვარიმინდორსა და ხარისაწოლზე.** ახალი საპიკნიკე სივრცეები მოეწყო შემდეგ სოფლებსა და ტურისტულ ლოკაციებზე; **ღომას მთა, ჩირუხის მთა, ბრილი.**

დაიგეგმა და ჩატარდა ტურიზმის სექტორის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები და მასტერ-კლასები. ასევე, გრძელდება შუახევის სოფლების განიშნულიანება და მარშრუტების მარკირების პროექტები.

ხულოს მუნიციპალიტეტი - მნიშვნელოვანია, **ხიხანის ციხეზე** ასასვლელი ბილიკის მშენებლობა, რომელიც ტურისტებს ხიხანის ციხის დალაშქვრას უმარტივებს. ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასრულებულია, რაც ციხეზე ასასვლელი ბილიკის გაფართოებას, მოაჯირების მონტაჟს, კიბეების მოწყობასა და ტურისტული ბილიკის მარკირებას ითვალისწინებდა.

გოდერძის უღელტეხილზე განხორციელდა წრიული საველოსიპედე მარშრუტის მარკირება, მოეწყო საოჯახო სახლებისა და ტურისტული ლოკაციების მარკირებისათვის ნიშნულები შემდეგ სოფლებში: **ვაშლოვანი, განახლება, თაგო, ხიხაძირი. უჩხოს ჩანჩქერთან** მისასვლელი ბილიკი კეთილმოეწყო და ტურისტული ინფრასტრუქტურა მომზადდა.

მიმდინარეობს **ღორჯომის ხეობაში** ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. შეიქმნა ახალი საფეხმავლო მარშრუტი, დამონტაჟდა ნიშნულები სოფ. ღორჯომი-იაილა კიკიბო-წრიულ საფეხმავლო მარშრუტზე. ღორჯომის ხეობაში იგეგმება **საცხენოსნო ტურიზმის** განვითარებაც. მომზადდა მერჩხეთის ჩანჩქერსა და დავლაძეების ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკის მოწყობის პროექტები.

დაიგეგმა და ჩატარდა ტურიზმის სექტორის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები და მასტერ-კლასები. ასევე, გრძელდება ხულოს სოფლების განიშნულიანება და მარშრუტების მარკირების პროექტები.

ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია - გრძელდება აჭარის ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნება და დივერსიფიკაცია, რისთვისაც მზადდება სხვადასხვა თემატიკის სპეციალური გაიდები და სახელმძღვანელოები, რომლითაც ხდება აჭარაში კონკრეტული თემების ტურისტულ პროდუქტად განვითარების ხელშეწყობა. კერძოდ:

მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელო „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში" . აჭარის კულინარიულ გზამკვლევში 110-ზე მეტი აჭარული კერძის რეცეპტი განთავსდა. „ხალხური ტრადიციები და რიტუალები" ამ სახელწოდებით ახალი გზამკვლევი მომზადდა. სახელმძღვანელოში 70 აჭარული ტრადიცია და ხალხური რიტუალია შესული. მათ შორისაა ქორწინებასთან, ბავშვის აღზრდასთან, საზოგადოებრივ-საოჯახო, სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. საზღვაო კულინარიისა და თევზის კულტურის განვითარების მიზნით მომზადდა ახალი სახელმძღვანელო „თევზეული ქართულ სამზარეულოში" - რომელშიც 70-ზე მეტი ადგილობრივი, ქართული თევზის რეცეპტია თავმოყრილი.

რეგიონში არსებული და მივიწყებული რეწვის დარგების პოპულარიზაციის მიზნით მომზადდა სახელმძღვანელო „ხალხური რეწვა აჭარაში", ასევე მომზადდა სახელმძღვანელო - „ხალხური თამაშობები აჭარაში". რომელშიც 50-ზე მეტი შემონახული ტრადიციული, ხალხური თამაშია განთავსებული. წიგნის გამოცემის მიზანი რეგიონში შემონახული ტრადიციული, არქაული თამაშების თავდაპირველი სახის აღდგენა, სათამაშოების მოძიება-შესწავლა და მათი პოპულარიზაციაა.

აჭარაში არსებულ 5 ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია-რესტავრაცია (საბაგიროს, ქობულეთის, ხულოს, აეროპორტისა და ბულვარის ცენტრი), ამ ეტაპზე კი ქედის, შუახევისა და სარფის ტურისტული ცენტრების მოდერნიზაცია მიმდინარეობს.

ტურისტული სერვისების განვითარების ხელშეწყობა - გრძელდება მუშაობა სერვისების გაუმჯობესებაზე. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, მასტერკლასები და პრაქტიკული მეცადინეობები სექტორის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლისათვის, მათ შორის გიდებისათვის, სააგენტოებისათვის, განთავსებისა და კვების ობიექტებისათვის. სერვისის გაუმჯობესების მიზნით ავტონომიურ რესპუბლიკაში წლიურად ტურისტული სექტორის 1000-მდე წარმომადგენლის გადამზადება ხდება.

შეიქმნა რეგიონის სატრენინგო ონლაინ-პლატფორმა serviceajara.ge, სადაც განთავსებულია ყველა სატრენინგო პროგრამა, სახელმძვანელო და საჭირო ინფორმაცია. 2023 წელს გადამზადდა 1000-მდე სექტორში დასაქმებული ადამიანი სხვადასხვა მიმართულებით.

აჭარამ 2023 წელს პირველად უმასპინძლა გასტრონომიულ ფორუმს **„გასტრო ბათუმი“,** რომლის ფარგლებშიც რეგიონს მიშლენის ვარსკვლავის მქონე რესტორნების ფრანგი, ბელგიელი, ლატვიელი შეფები, რესტორატორები სტუმრობდნენ. მათ თურქ და ქართველ სპიკერებთან ერთად გასტრონომიული ტურიზმის ტენდენციებისა და გამოწვევების თაობაზე გამოთქვეს თავიანთი აზრები, ადგილობრივი შეფებისათვის კი კერძების მომზადების მასტერკლასები ჩაატარეს.

ბიუჯეტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 140 548 500 ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ 143 910 500 ლარი, გეგმის 102,4 პროცენტი შეადგინა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 541 949 400 ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ 542 562 900 ლარი, გეგმის 100,1 პროცენტი შეადგინა.
შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 501 533,700 ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ 505 363,700 ლარი, გეგმის 100,8 პროცენტი შეადგინა.

საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 480 000 000 ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ 482 889 900 ლარი, გეგმის 100,6 პროცენტი შეადგინა.

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2023 წლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 21 245,000 ლარით, შესრულებამ 22 196,900 ლარი, გეგმის 104,5 პროცენტი შეადგინა.

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლების გეგმა განისაზღვრა 40 415 700 ლარით, ფაქტიური შესრულება შეადგენს 37 199 100 ლარს, გეგმის 92,0 პროცენტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების ოდენობამ 206 573,7 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ფინანსური დახმარების ფარგლებში დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

ბათუმი: ქ. ბათუმში, მ. ვარშანიძისა და ხახულის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები (ალ. სულაბერიძის და მ. ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფ. ხალვაშის გამზირამდე) (პროექტის ღირებულება - 30 999 930 ლარი, დასრულდება 2026 წელს); ქ. ბათუმში, ქათამაძის ქ. №38-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა, ქ. ბათუმი, დაბა ჩაქვი, ჭავჭავაძის ქ. №7-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა, ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №127-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა; ქ. ბათუმში, ევროპის მოედანზე სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვა.

ქობულეთი: ქალაქ ქობულეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია (პროექტის ღირებულება - 5 425 756 ლარი, დასრულდება 2024 წელს), ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №520-ის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა და სხვა;

ხელვაჩაური: სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, სოციალური სახლის მშენებლობა, სოფელ კირნათში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და სხვა;

ქედა: სოფელ ქვედა აქუცისა და სოფელ ვაიოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ავტობუსის შეძენა და სხვა;

შუახევი: მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (ბეტონის საფარის, ახალი გზის მშენებლობა და დამცავი ბაგირების მოწყობა), სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები და სხვა;

ხულო: მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების პრობლემატური მონაკვეთების მოწყობა, ფერდსამაგრი სამუშაოები, 4 ერთეული სპეც. ტექნიკის შეძენა, ავტობუსების შესყიდვა, ფერდსამაგრი სამუშაოები და სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური **ბიუჯეტიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტები დაფინანსდა 3 766,6 ათასი ლარის ოდენობით.** სოფლის მხარდაჭერის პროგრამით **5 მუნიციპალიტეტის 317 სოფელში განხორციელდა** შემდეგი სამუშაოები: სასმელი წყლის სისტემების, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, გზების, გზისპირა მოსაცდელების, ხიდების, ცხაურების, ხიდბორგების, გადასასვლელებისა და გარე განათების მოწყობა, სპორტული ინფრასტრუქტურისა და მოედნების მოწყობა, სკვერებისა და სველი წერტილების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა და სხვა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

ბათუმი ავარიული სახლების გარეშე

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა სამთავრობო მიზნობრივი პროგრამა - ,,ბათუმი ავარიული სახლების გარეშე", რომლის ფარგლებშიც 1000-მდე საცხოვრებელი ბინის მშენებლობა 10 მისამართზე მიმდინარეობს.

ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამით ბათუმში 3000 ოჯახი ისარგებლებს. ამ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლები საჭიროების მქონე ყველა პირს ეტაპობრივად გადაეცემათ ახალი, თანამედროვე და უსაფრთხო სახლები.

ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების პარალელურად პროცესში ჩართულია ინვესტორები, სამშენებლო-დეველოპერული კომპანიები. პროექტის დასრულება უზრუნველყოფილი იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 150 000 მლნ ლარის მოცულობის ფინანსური გარანტიით, უძრავი ნივთის შესყიდვის ინსტრუმენტის გამოყენებით.

განახლებული რეგიონები

ექვსივე მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის ინიციატივით ,,განახლებული რეგიონების" პროგრამის ფარგლებში, აჭარაში ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. პროგრამა ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტისა და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

პროგრამით დაფინანსებული პროექტები:

- ქ. ბათუმში, გმირთა ხეივანში მწვანე დერეფნის მოწყობა;
- ქ. ქობულეთში ბულვარის მშენებლობა;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მოედნების, ბავშვთა გასართობი ცენტრებისა და სკვერების მოწყობა;
- ხულოს მუნიციპალიტეტში მემედ აბაშიძის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ქედის მუნიციპალიტეტში დაბის ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქცია;
- შუახევის მუნიციპალიტეტში კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია.

ქალაქებისა და კურორტების განვითარების მასშტაბური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებთან ერთად მოხდება ძველი ბათუმის რეაბილიტაცია (კულტურული და ისტორიული ობიექტების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია).

დასკვნით ეტაპზეა მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება - გაზსადენი მოიცავს ბათუმი-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთს (120.0 კმ), საიდანაც უკვე დასრულებულია ბათუმი-ხულოსა და გოდერძის ურელტეხილი-კურორტ „გოდერძის" მონაკვეთები;

- ამ ეტაპზე მიმდინარეობს დასკვნითი ეტაპის სამუშაოები - ხულო-გოდერძის მონაკვეთზე გაზის მილების მოწყობა, დაახლოებით 13 კმ.-ზე;
- პროექტის **პირველ ეტაპზე სალიბაურიდან-ხიჭაურამდე 63 კმ მონაკვეთზე** გაზსადენის მილების მონტაჟი განხორციელდა, რაც **11 900 აბონენტის** გაზიფიცირებას მოიცავს;
- პროექტის **მეორე ეტაპის** ფარგლებში, 2020 წელს პირველად, კურორტზე ბუნებრივი გაზი აინთო. შუახევიდან-გოდერძამდე **56 კმ გაზსადენის** მილების მოწყობა დასრულდა, რითაც ჯამში 15 200 აბონენტის გაზიფიცირება მოხდება.

პარალელურად სოფლების დაქსელვის სამუშაოები მიმდინარეობს:

- ხულო - დაქსელვის სმაუშაოები დაბა ხულოში მიმდინარეობს;
- შუახევი - პირველ ეტაპზე დაბა და მიმდებარე ტერიტორია დაიქსელა. ხიჭაურში მცხოვრები აბონენტებისათვის გაზიფიცირების რეგისტრაცია დაიწყო;
- ქედა - დაიქსელა 7 სოფელი: დაბა ქედა, სოფელი ქედა, გულები, ზენდიდი, ხუნკუდა, დოლოგანი, კოკოტაური. დაქსელვის სამუშაოები 4 სოფელში მიმდინარეობს: ვარჯანისი, ცხემნა, ქვედა მახუნცეთი, ზვარე;
- ხელვაჩაური - მუნიციპალიტეტის 64 სოფლიდან, უკვე დაქსელილია 54 სოფელი. სამუშაოები მაჭახელას ადმინისტრაციული ერთეულის 4 სოფელში მიმდინარეობს;

- ქობულეთი - დაიქსელა ქობულეთის თითქმის ყველა სოფელი. მოსახლეობას ბუნებრივი აირი მიეწოდება.

აჭარის მყარი ნარჩენების მართვა

- აშენდა მყარი ნარჩენების მართვის ობიექტი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ცეცხლაურში, საქართველოში პირველი, თანამედროვე სტანდარტების ნარჩენების მართვის ობიექტის მშენებლობა განხორციელდა. პროექტი ასევე ბათუმსა და ქობულეთში არასტანდარტული ნაგავსაყრელების დახურვას ითვალისწინებს. პროექტის ბიუჯეტი 60 მლნ ევროა;
- ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბათუმსა და ქობულეთში არსებული არასტანდარტული ღია ნაგავსაყრელების კონსერვაციის პროცედურები. საკონსულტაციო კომპანია ICP-ის მიერ დახურვის შეფასება/კონცეფცია მომზადდა, ფართობი - ჯამში 33 ჰექტარი. მიმდინარეობს ტენდერი კონსულტანტის შესარჩევად, რომელმაც დახურვის დეტალური დიზაინი უნდა შექმნას, ასევე უნდა მოამზადოს სატენდერო დოკუმენტაცია და დახურვის პროცედურებს გაუწიოს ზედამხედველობა. შერჩეული კონსულტანტი ასევე მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების ობიექტის დეტალური დიზაინის მომზადებას განახორციელებს;
- ტექნიკურ აღჭურვაზე საერთაშორისო ტენდერი დასრულდა, რომლის ფარგლებში ობიექტს ნაგავსაყრელის პოლიგონის ექსპლუატაციისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა (15 ერთეული ტექნიკა და 8 კონტეინერი) ექნება. დაგეგმილია ნარჩენების შუალედური გადამტვირთი სადგურის მშენებლობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სამრეწველო ზონაში, 1,3 ჰექტარზე, ღირებულება - 3 157 500 ევრო. მომსახურების სერვისის გაუმჯობესებისათვის, მუნიციპალიტეტებისათვის, დაგეგმილია სპეც. ტექნიკური საშუალებებისა და ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერების შეძენა.

ოცნების ქალაქი

ე.წ "ოცნების ქალაქის" ტერიტორიაზე 582 ოჯახზე გათვლილი სამი 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების პარალელურად, პროექტის მეორე ეტაპის განხორციელების სამუშაოები იქნა დაწყებული. პროექტის ახალი ეტაპი მთლიანი ტერიტორიის დაგეგმარებას, სწორ ურბანულ განვითარებას, საგანმანათლებლო, საცხოვრებელი და რეკრეაციული სივრცეების შექმნას გულისხმობს.

„ოცნების ქალაქში“ დამატებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდება. მეორე ეტაპის ფარგლებში ტერიტორიაზე ასევე საპარკინგე ზონა, საბავშვო მოედანი, საფეხმავლო და ველობილიკები და გარე განათებები მოეწყობა. საცხოვრებელი სახლები გაზმომარაგების, წყლისა და წყალარინების სისტემებით აღიჭურვება. მოქალაქეებს ადგილზე ასევე სხვადასხვა სერვისებზე წვდომის შესაძლებლობა ექნებათ. მეორე ეტაპი განაშენიანების დეტალურ გეგმას და ამავე გეგმის მიხედვით ერთ-ერთ კვარტალში, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის პროექტის მომზადებას ითვალისწინებს.

მაღალმთიანი აჭარის განვითარება

- ინტენსიურად მიმდინარეობს სათხილამურო **კურორტ „გოდერძის“ განვითარება.** ამ დროისათვის კურორტზე 28 მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს, რომლის საინვესტიციო ღირებულება 200 მლნ ლარს აღემატება;

- მიმდინარეობს გოდერძის გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენებლობა. ასევე თოვლსატკეპნი მანქანების ანგარის მოწყობა. დაგეგმილია ახალი

საბაგირო ხაზისა და სათხილამურო ტრასების მოწყობა კურორტ გოდერძსა და გომარდულში;

- სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძზე დასრულდა წყალარინების გამწმენდი ნაგებობის და 500 კუბ.მ. მოცულობის წყლის რეზერვუარის მშენებლობა. ასევე დასრულდა წყალმომარაგების და წყალარინების შიდა გამანაწილებელი სისტემების მშენებლობა. ამ ეტაპისათვის გამოცხადებულია ტენდერი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ორი ერთეული სათავე ნაგებობის, 500 კუბ.მ. მოცულობის რეზერვუარისა და წყალმომარაგების მაგისტრალური ქსელის მშენებლობას;

- 2024 წელს დასრულდება გოდერძისა და მწვანე ტბის ელექტრომომარაგების პროექტი;

- „გოდერძის" მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტი მომზადდა, რაც კურორტზე საინვესტიციო პროცესების გაძლიერებას შეუწყობს ხელს;
- განხორციელდა **„მწვანე ტბის"** რეაბილიტაცია. ტერიტორიაზე საპიკნიკე და დასასვენებელი ადგილები, ასევე მოეწყო ბილიკები. სრულდება ღონისძიების ჩასატარებელი სივრცის, საფეხბურთო სტადიონის და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. „მწვანე ტბის" რეაბილიტაცია 2 მლნ ლარამდე დაფინანსდა;
- **მიმდინარეობს კურორტ ბეშუმის განვითარება,** რაც ტერიტორიის ურბანული პოლიტიკის შექმნას და სამომავლოდ ბეშუმის სწორად განვითარებას ითვალისწინებს. კურორტი ბეშუმისა და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ქალაქმშენებლობით დოკუმენტზე მუშაობა დასრულდა და მიმდინარეობს დამტკიცების პროცედურები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი

- მიმდინარეობს წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი. პროექტის ფარგლებში, თანამედროვე კომუნალური ინფრასტრუქტურით სარგებლობას აჭარის 39 სოფელში

მცხოვრები, დაახლოებით 30 000 ადამიანი შეძლებს. პროექტის ბიუჯეტი 100 მილიონ ევროზე მეტია.

- აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, სისტემების სამშენებლო სამუშაოები უკვე დაიწყო ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ქვედა კვირიკესა და ოჩხამურში. ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ხულოსა და შუახევში სამშენებლო სამუშაოები დაიწყება;
- საერთაშორისო ტენდერით უკვე შეძენილია ექსპლუატაციის მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, სარემონტო და სხვა მასალები.

ტენდერის ფარგლებში განხორციელდება:

- წყალმომარაგების რეზერვუარების მშენებლობა;
- წყალმომარაგების მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა;
- წყალარინების ქსელის მშენებლობა;
- წყალმომარაგების სათავე-ნაგებობების მშენებლობა;
- წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა;
- მცირე და საშუალო ზომის სეპტიკური ავზების მშენებლობა;
- წყლის სატუმბი სადგურების მშენებლობა;
- საწყობების მშენებლობა;
- ლაბორატორიების მოწყობა.

საინვესტიციო პოლიტიკა

- **მოქმედებს ინვესტიციების ხელშეწყობის წესი.** განკარგულების პროექტი, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად, დამატებითი ვადის მიცემის წესს ითვალისწინებს. მითითებულ ვადაში, ინვესტორის

მიერ სარგებლობის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ გადახდის შემთხვევაში, ინვესტორი გათავისუფლდება სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გადახდილი თანხის ოდენობით;

- განკარგულებით სრულიად გამოირიცხა ბიზნესთან მანამდე არსებული ინდივიდუალური მიდგომები და ყველასათვის ერთიანი პრაქტიკა დამკვიდრდა. გადაწყვეტილებების მიღება კერძო და საჯარო ინტერესების დაცვით ხდება.

გარემოს დაცვა/ეკოლოგია

ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის პროექტი დაიწყო. პროექტი ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა და აჭარის მთავრობას შორის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. ტერიტორიის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციაზე მუშაობა დასრულდა. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის კვლევის ფარგლებში, ტერიტორიის როგორც ტექნიკური, ასევე სამომავლო გამოყენების შესაძლებლობები იქნა შესწავლილი. პროექტის მიზანია გარემოს დაცვა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მრეწველობის განვითარება

დაიწყო ბათუმის სამრეწველო ზონის განვითარება - ახალი პროექტი ხელვაჩაურში არა ნაკლებ 90 ჰა. ფართობის მიწის ნაკვეთებზე, საწარმოების მოწყობას ითვალისწინებს. ეკონომიკური გათვლების მიხედვით, მოსალოდნელია 75 მლნ აშშ დოლარის კერძო ინვესტიცია, რითაც დაახლოებით 1500 სამუშაო ადგილი შეიქმნება. ამ ეტაპისათვის დაახლოებით 34 საინვესტიციო პროექტი უკვე მიმდინარეობს, ჯამური ინვესტიცია 43 მლნ ლარზე მეტს შეადგენს. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ კომუნალური და საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტები განახორციელა. მოეწყო 10-მდე გზა სანიაღვრე და

საკანალიზაციო ქსელებით, დამონტაჟდა 600-მდე განათების ბოძი და დაიგო 80 000 კვ.მ. ასფალტის საფარი. პარალელურად ტერიტორიის გაზიფიცირება განხორციელდება.

საერთაშორისო ურთიერთობები

აჭარის რეგიონის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა აქტიურია. **რეგიონი ჩართულია პერიფერიული საზღვაო რეგიონების კავშირის (CPMR) ეგიდით გამართულ ღონისძიებებში,** რაც მეტ შესაძლებლობას იძლევა, როგორც ამ ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრ რეგიონს, საზღვაო საქმიანობის, ტურიზმის, სავაჭრო ურთიერთობების, „ლურჯი ეკონომიკის" გაღრმავების საკითხებში „CPMR"-ისა და წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისათვის.

აჭარა თანამშრომლობს ევროპის რეგიონთა ინსტიტუტთანაც (IRE). აჭარა IRE-ს სრულუფლებიანი წევრი რეგიონია და მონაწილეობს ორგანიზაციის მიერ გამართულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში.

2024 წელს ბათუმში იმართება ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის გენერალური ასამბლეისა და შავი ზღვის მე-8 სამიტი. AER-ის რამდენიმე მნიშვნელოვან პროგრამაში სხვა წევრ რეგიონებთან ერთად, აჭარაც ღებულობს მონაწილეობას.

2023 წელს აჭარის საერთაშორისო თანამშრომლობის არეალი გაფართოვდა - გაფორმდა შეთანხმება მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბების შესახებ აჭარასა და ჩინეთის სიჩუანის პროვინციას შორის, ასევე ქ. ბათუმი დაუმეგობრდა შვეიცარიის ქ. ლუგანოს, უნგრეთის ქ. კესტჰეის, მონტენეგროს ქ. ბარის, ჩინეთის ქ. სიანიანს, შუახევის მუნიციპალიტეტი კი დაუმეგობრდა პოლონეთის ტშებნიცის ოლქს (ქვემო სილეზია). მიმდინარე წელს ბათუმისათვის მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა მეზობელ თურქეთთან თანამშრომლობის ფარგლებში. კერძოდ, ბათუმს თურქეთის ISUZU-ს ქარხანაში წარმოებული 60 ავტობუსი მოემსახურება და ბათუმის მუნიციპალური ტრანსპორტი

სრულად განახლდება. ავტობუსების ნაწილი უკვე ქალაქში მოძრაობს. უახლოეს პერიოდში იგეგმება სხვა ავტობუსების ეტაპობრივი შემოყვანა.

ბათუმში ფუნქციონირებს 11 უცხო ქვეყნის წარმომადგენლობა, გენერალური და საპატიო საკონსულოების სახით. ჩვენი უცხოელი მეგობრების, კონსულების ძალისხმევით მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება საერთაშორისო კუთხით ქვეყნებისა და რეგიონების პოპულარიზაციის, თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის.

2023 წლის დასაწყისში, ბათუმს მიენიჭა „ბავშვზე მორგებული ქალაქის" კანდიდატის სტატუსი. 2020 წელს ბათუმი „ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივას" შეუერთდა, რომელიც UNICEF-ის პროექტია და მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქციის ფარგლებში, ბავშვთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფას.

2023 წლის 10-11 სექტემბერი - ბათუმმა საქართველოს საპატიო კონსულების კონფერენციას უმასპინძლა. მნიშვნელოვანია საპატიო კონსულების ინსტიტუტის როლი პარტნიორ ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და ტურიზმის წახალისების თვალსაზრისით, ასევე საერთაშორისო დონეზე ქვეყნის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილით.

ბათუმის ბულვარი

ბათუმის ბულვარი აჭარის რეგიონის სავიზიტო ბარათია, რომლის ამოცანას წარმოადგენს ბულვარის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება; ბულვარის ტერიტორიაზე დეკორატიული მცენარეების, ყვავილების და არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა; ბულვარის სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა, მათი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით

გათვალისწინებული სარგებლობის სხვადასხვა ფორმებით გაცემა და შესაბამისი პირობების დადგენა.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. ბათუმის ბულვარი, ყოველ წელს ტურისტულ სეზონს მრავალი სიახლით ხვდება. მიმდინარე წელი ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლით გამოირჩევა. ბულვარის 2024 წლის ბიუჯეტი 14 858 200 ლარს შეადგენს, ბაღის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის განვითარებას კი 13 247 700 ლარი მოხმარდება.

2024 წლის დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები - ინფრასტრუქტურის მიმართულებით, ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება როგორიცაა: სკეიტ და როლერ პარკი - ახალ ბულვარში სკეიტ-პარკის მშენებლობის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა ინტეგრირებული იქნება არსებულ მწვანე საფართან, თუმცა, პარკის პროექტით, გათვალისწინებულია ტერიტორიის ახალი ნარგავებით შევსება. მულტიფუნქციური სპორტული მოედანი, რომელიც 4800 კვ.მ ფართობს მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო დონის ღონისძიებებს უმასპინძლებს.

ველობილიკის რეაბილიტაცია-ბათუმის ბულვარში ველობილიკის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად გრძელდება. პროექტის მიმდინარეობა დასრულების ეტაპზე გადავიდა. მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები მოიცავს ძველი ბულვარიდან ახალ ბულვარში არსებულ საველოსიპედე ბილიკზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მონოლითური რკინა-ბეტონის საფარის მოწყობას და მარკირებას. საპროექტო ველოტრასის სიგრძე 6 000 გრძივ მეტრს შეადგენს.

სავარჯიშო მოედნების რეაბილიტაციის პროექტი-განაშენიანების გეგმის მიხედვით შემუშავდა სავარჯიშო მოედნების რეაბილიტაციის პროექტი. ბათუმის ბულვარში ორ

ლოკაციაზე უკვე ფუნქციონირებს ახალი სავარჯიშო სივრცე. ფიტნეს ზონაში ახალი ტიპის, სხვადასხვა დატვირთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებზე ადაპტირებული ინვენტარი დამონტაჟდა, რომლითაც სარგებლობას მოყვარულებთან ერთად პროფესიონალი სპორტსმენებიც შეძლებენ.

საპლაჟე ინფრასტრუქტურის განახლება-საჯარო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისა და გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია სანაპირო ზოლის აღჭურვა მაღალი ხარისხის გასახდელებით, ზღვაზე ჩასასვლელი ბილიკებითა და თანამედროვე სტანდარტების საშხაპეებით. სასეირნო ბილიკზე განთავსდება 20 ახალი სასმელი წყლის შადრევნი.

ბათუმის ბულვარში 2023 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები - განხორციელდა მესამე ადაპტირებული პლაჟის მოწყობა. ისტორიული კოლონადას კაპიტალური რეაბილიტაცია-რესტავრაცია ჩაუტარდა. პროექტი მოიცავდა მთლიანი კოლონადის ზედაპირის და დეკორატიული ელემენტების ისტორიული სახით აღდგენას.

საგზაო ინფრასტრუქტურა

2023 წელს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტი 62 106 672 ლარს შეადგენდა:

- 22 მიმართულებით მოეწყო ასფალტ-ბეტონის საფარი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 49,09 კმ. სიგრძის საავტომობილო გზას;
- აშენდა და რეაბილიტირდა 17 ხიდი;
- მოეწყო 127 საყრდენი კედელი;
- მოეწყო 15 დამცავი ნაგებობების და წყალანირების სისტემები;

- 75 კმ. სიგრძის საავტომობილო გზაზე დაიგო ცემენტო-ბეტონის საფარი.

2024 წელს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტი 63 983 516 ლარს შეადგენს:

- 27 მიმართულებით მოეწყობა ასფალტო-ბეტონის საფარი და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 66,87 კმ. სიგრძის საავტომობილო გზას;
- აშენდება და რეაბილიტირდება 19 ხიდი;
- მოეწყობა 160 საყრდენი კედელი;
- მოეწყობა 45 დამცავი ნაგებობები და წყალანირების სისტემები;
- 70 კმ. სიგრძის საავტომობილო გზაზე დაიგება ცემენტო-ბეტონის საფარი.

ხორციელდება ისეთი მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა, ხულო-ზარზმის გზის რეაბილიტაცია.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პოლიტიკა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის, სოციალურ, სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროექტები თავისი შინაარსითა და მოცულობით

ორიენტირებულია სოციალურად დაუცველ მოქალაქეებსა და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე. პროგრამების მიზანია რეგიონის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა და იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

მოსახლეობის მომართვიანობის, მოთხოვნების, ასევე წინა წლებში მოქმედი პროგრამების შესრულებისა და სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, ყოველწლიურად იგეგმება სხვადასხვა სამედიცინო თუ სოციალური სერვისების დაფინანსება.

აჭარაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია. 2023-2024 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ზრდასთან ერთად გაფართოვდა და დაემატა ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და დასაქმების პროგრამები, შეიცვალა დაფინანსების მეთოდოლოგია და მიზნობრივი ჯგუფებისათვის გაუმჯობესდა სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2023-2024 წლებში სოციალური პროექტებისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მხრივ მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა:

- აჭარაში ონკოქირურგია და გულის ქირურგია სრულად ფინანსდება; ასევე სრულად ფინანსდება ინტენსიური თერაპიის (პირველი დონის, საჭიროების შემთხვევაში, მეორე დონის ინტესიური მკურნალობა/მოვლა) მომსახურება;
- მიმდინარეობს გადაუდებელი და გეგმიური ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება;

- გაიზარდა ტრანსპლანტაციებისა და ახალი თაობის ძვირადღიებული მედიკამენტების დაფინანსება;

  დაიწყო ორგანოთა ტრანსპლანტაციის შემდგომი აუცილებელი კვლევებისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის შემთხვევაში დონორისა და რეციპიენტის თავსებადობის განსაზღვრის საჭირო კვლევების დაფინანსება;
- გაიზარდა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსების ლიმიტი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა საჭიროებისათვის 3 327 ოჯახზე გამოიყო 16 558 569 ლარი;
- დაიწყო მასშტაბური სამედიცინო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

2023-2024 წლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობას ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დასაქმების მიმართულებით 103 432 ბენეფიციარს სხვადსხვა სახის სერვისი მიეწოდა:

- ჯანმრთელობის დაცვის სერვისი 37 277 მოქალაქეს;
- სოციალური დაცვის სერვისი 24 971 მოქალაქეს;
- დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის მიზნით 40 830 მოქალაქეს ჩაუტარდა სკრინინგული და სხვა კვლევა;
- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გადამზადდა 354 მოქალაქე.

2023 წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 48 249 500 ლარს შეადგენდა. გასულ წელს უწყების ფინანსური დოკუმენტი 99,3 % -ით შესრულდა.

მნიშვნელოვანი პროგრამული სიახლეები:

- დაიწყო ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის სტაციონარული მომსახურება;

  დაიწყო თვალის ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობა ახალი თაობის პრეპარატებით;
- 100 %-მდე გაიზარდა იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც არ არის განსაზღვრული DRG მეთოდით. ასევე, გულის და კორონარული არტერიების გეგმიური ანგიოგრაფია;
- გაიზარდა სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების ნუსხა და ტარგენტული თერაპიის, ბიფოსფონატებისა და იმუნოთერაპიული მედიკამენტების ლიმიტი 35 000 ლარამდე;
- დაიწყო პოზიტრონ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიის დაფინანსება 100%მდე;
- დაიწყო ინტენსიური თერაპიის (პირველი დონის, საჭიროების შემთხვევაში, მეორე დონის ინტესიური მკურნალობა/მოვლა) მომსახურების თანაგადახდის დაფარვა, DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში;
- გაფართოვდა ძვირადღირებული მაღალეფექტური მედიკამენტებით მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა არეალი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 200 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე პირების ნაცვლად პროგრამაში ჩაერთო მკურნალობის საჭიროების მქონე ყველა პაციენტი;
- სამინისტროს მიერ გაიზარდა ორგანოთა ტრანსპლანტაციების დაფინანსება: კერძოდ, ღვიძლის ტრანსპლანტაცია და ძვლის ტვინის აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია 125 000 ლარამდე, ძვლის ტვინის ალოგენური ტრანსპლანტაცია 200 000 ლარამდე, ხოლო ჰაპლოიდური ტრანსპლანტაცია 235 000 ლარამდე. გულის ტრანსპლანტაცია კი 220 000 ლარამდე;

- გაიზარდა ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების ბიუჯეტი. შესაბამისად, მოსარგებლეთა რაოდენობა, ასევე გაიზარდა ელექტროეტლების რაოდენობა და დამხმარე საშუალებების ნუსხა;
- დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2 000 ლარის ოდენობით;
  ფსიქიკური აშლილობის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამას დაემატა მეოთხე საცხოვრისი;
- დაიწყო სისხლში ტყვიის მაღალი ექსპოზიციის მქონე ბენეფიციართა საცხოვრებელი გარემოს შესწავლა;
- მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის;
- ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი;
- ამოქმედდა ახალი პროგრამა - სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი, რაც ხელს უწყობს სპორტულ წრეებში მსურველ ბავშვთა ოჯახების ფინანსური რისკების შემცირებას;
- დაემატა ახალი პროგრამა - დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფის გზით;
- ასევე, ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს **2024 წლის ბიუჯეტი გასული წლის ბიუჯეტთან მიმართებაში 18 020 000** ლარით გაიზარდა და **51 255 000 ლარს შეადგენს. ბიუჯეტის ზრდამ გასულ წელთან შედარებით, შეადგინა 35%.** სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად ახორციელებს 36 პროგრამას.

2024 წელს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა:

- 30%-ით გაიზარდა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამის ბიუჯეტი, ხოლო თითოეული პაციენტების დაფინანსების წლიური ლიმიტი 50 000 ლარამდე;
- უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამას ბენეფიციარებად დაემატა სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი. პროგრამა ამოქმედდა 2022 წლის ზაფხულში, დღემდე დაბადებულია 22 ბავშვი, ამჟამად შვილს ელოდება 12 წყვილი;
- 2024 წელს გაიზარდა სოფლის ექიმებისა და ექთნების დანამატი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ექიმებს დანამატის სახით 400 ლარით, მედდებს 250 ლარით აფინანსებს. თანხა სახელმწიფო პროგრამის პარალელურად გაიცემა. დანამატს 107 ექიმი და 110 ექთანი ღებულობს;
- „2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021 წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების დახმარება" - პროგრამის ფარგლებში 2024 წელს გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი, ბენეფიციარებისათვის გასაცემი თანხის მოცულობა და მოსარგებლე პირთა არეალი. დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია დაღუპული/მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურის დედებსა და მეუღლეებს, თითოეულს 5 000 ლარის ოდენობით, სულ 39 ბენეფიციარს. აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 32 მეომრის ოჯახს - თითოეულს 10 000 ლარის ოდენობით. პროგრამას ბენეფიციარებად დაემატა 2007-2021 წლებში ავღანეთის სამშვიდობო მისიის დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ჯარისკაცების ოჯახები, სულ 5 ოჯახი;
- მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამით - პაციენტებს ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობა ახალი თაობის

ანტიანგიოგენური პრეპარატებით დაუფინანსდებათ სრულად, მიუხედავად სოციალური სტატუსისა. (ნაცვლად სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისა);

- 2023-2024 წლებში ტრანსპლანტაციები ჩაუტარდა 47 პაციენტს. მათ შორის:
- ღვიძლის გადანერგვა - 20 პაციენტს;
- ძვლის ტვინის გადანერგვა - 27 პაციენტს.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

2023 წელს და 2024 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული ღონისძიებები:

- მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა - ისარგებლა 1 590 ბენეფიციარმა;
- ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში - ისარგებლა 3 837 ორსულმა;
- სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა - ისარგებლა 41 ბენეფიციარმა;
- ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში - ისარგებლა 450 ბენეფიციარმა;
- აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში - ისარგებლა 426 ბენეფიციარმა;
- C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა - ისარგებლა 19496 ბენეფიციარმა;
- 2023 წელს, ორსულ და ლაქტაციის პერიოდში ქალებში, რისკ-ჯგუფს მიკუთვნებელ ბავშვებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა - ისარგებლა 16 272 ბენეფიციარმა;
- 2023 წელს, სისხლში ტყვიის მაღალი ექსპოზიციის მქონე ბენეფიციართა საცხოვრებელი გარემოს შესწავლა - სულ ჩატარდა 3 600 ნიმუშის კვლევა 234 ბენეფიციარის ოჯახში;

- მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის ღონისძიებით ისარგებლა 438-მა ორსულმა;
- ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი - ისარგებლა 905 ახალშობილმა; □ სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი - ისარგებლა 644 ბავშვმა.

2024 წელს დაემატა ახალი პროგრამული ღონისძიებები:

აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა - რომლის ფარგლებშიც, აპრილიაგვისტოს პერიოდში განხორციელდება 18 ვიზიტი სხვადასხვა პროფილის ექიმთა გუნდის მიერ, პროფილაქტიკური გასინჯვა/კონსულტაციები ჩაუტარდება მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ საზაფხულო იალაღებზე მყოფ მოსახლეობას.

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ეკომიგრანტი ოჯახების დახმარება. ამ მიზნით ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია სპეციალური პროგრამა, რომლის საშუალებით **2023 წლიდან დღემდე თანადაფინანსებით საცხოვრებელი ფართი 132-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა.**

2024 პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 1 496 840 ლარამდე, მიმდინარე წელს დაგეგმილია 100 საცხოვრებელი ფართის შეძენა. გაიზარდა ,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის'' ფარგლებში სამინისტროს მხრიდან **თანადაფინანსების წილი, ნაცვლად 40 000 ლარისა ეკომიგრანტი ოჯახები 50 000 ლარით ფინანსდებიან. მიმდინარე წელს, სულ გამოიყოფა 5 216 840 ლარი.**

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

- 2023-2024 წწ ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად გამოიყო 7 598 562 ლარი, ფინანსური დახმარება გაეწია **1 046** ოჯახს;
- 2023 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით გახარჯულია 6 617 479 ლარი და ისარგებლა **1 796** მოქალაქემ. 2024 წელს ამავე მიზნით გამოყოფილია 2 342 528 ლარი და ისარგებლა 585 მოქალაქემ. აღნიშნულ წლებში **2 281** მოქალაქეზე გაიცა **8 960 007** ლარი.

სამედიცინო ინფრასტრუქტურული პროექტები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაიწყო მასშტაბური სამედიცინო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მიმდინარეობს 3 მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულების პროექტირება მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის.

ახალი შენობა ექნება ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკასაც. დაწესებულება პაციენტებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულ სერვისებს აწოდებს. შენობა, სადაც ამჟამად განთავსებულია დაწესებულება მოძველებულია და არ აკმაყოფილებს ამბულატორიული დაწესებულებისათვის დადგენილ სტანდარტებს. გეგმის თანახმად პოლიკლინიკისათვის ახალი შენობა ამჟამინდელი დაწესებულების მიმდებარედ აშენდება. შედეგად 50 000-ზე მეტი პაციენტი სამედიცინო მომსახურებას თანამედროვე, განახლებულ გარემოში მიიღებს.

ადგილმონაცვლდება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ბათუმის ცენტრი. სასწრაფო დახმარების სამსახური სამომავლოდ რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ განთავსდება. დაწესებულების ახალ შენობაში გადასვლით გაუმჯობესდება 160-მდე დასაქმებულის სამუშაო პირობები. გამოიყოფა ავტოპარკისა და სამედიცინო ბრიგადებისათვის საჭირო სივრცეები.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრების ახალი შენობების მშენებლობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების მხარდაჭერით უკვე დასრულდა ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში.

ბათუმის რესპუბლიკური-კლინიკური საავადმყოფო აგრძელებს სერვისების გაფართოებას. კლინიკას 50 საწოლზე გათვლილი პედიატრიული დეპარტამენტი დაემატა. საავადმყოფოში ხელმისაწვდომია შემდეგი პედიატრიული მიმართულებები: ბავშვთა გადაუდებელი დახმარება, ზოგადი პედიატრია, რეანიმაცია, კარდიორევმატოლოგია, ნეფროლოგია, ალერგოლოგია, ნევროლოგია, ტოქსიკოლოგია, ბავშვთა ინფექციები, ზოგადი ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია.

2023 წელს სარეაბილიტაციო ცენტრ ,,თანას" ბენეფიციარებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სატრანსპორტო საშუალება იქნა შეძენილი. 2024 წელს ხულოს მუნიციპალიტეტში ამოქმედდა დიალიზის სერვისი. სამედიცინო დაწესებულება, დიალიზისთვის საჭირო აპარატურით სრულად აღიჭურვა.

დასაქმება

2023 წლის აჭარის დასაქმების სააგენტოს ბიუჯეტი შეადგენდა 1 194 420 ლარს, ბიუჯეტი შესრულდა 95%-ით. მოთხოვნის შესაბამისად გაფართოვდა სააგენტოს პროგრამები, 2023 წლიდან დაემატა ახალი პროგრამები:

- დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფის გზით;
- ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება;
- სააგენტოს პროგრამებში 2023 წელს რეფერირდა 354 პირი, რომელიც მოიცავს პროფესიულ გადამზადებას, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობას, პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას, საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობას, ციფრული უნარების განვითარებასა და სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფას.

2023 წლის მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

- შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში მომზადდა 67 მოსარგებლე, დასაქმდა 71%;
- პრაქტიკული უნარ-ჩვევები განივითარა 80-მა მოსარგებლემ, დასაქმდა 90%;
- სამუშაოსთან თავსებადი გადამზადების კურსი გაიარა და სერთიფიცირებულ იქნა 20 მოსარგებლე, ყველა მათგანი ინარჩუნებს მდგრადობას სამუშაო ადგილზე;
- აღიარებული იქნა 19 პირის მიერ მიღებული არაფორმალური განათლება, ყველა მათგანი ინარჩუნებს მდგრადობას სამუშაო ადგილზე;
- ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო კურსი გაიარა 8 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირმა, დასაქმდა 62%;

- შრომითი და პრაქტიკული უნარების განავითარა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება/სტაჟირების გზით 50-მა სტუდენტმა, დასაქმდა 65%;
- ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სფეროში სამუშაო გამოცდილებისა და განათლების მქონე 23 პირი მომზადდა საზღვაო ტურიზმის მიმართულებაში;
- პროფესიული კვალიფიკაცია აიმაღლა და უნარები გაიუმჯობესა ტრენინგებისა და მასტერკლასების გზით, პარტნიორ კომპანიებში დასაქმებულმა 70 პირმა;
- ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ სფეროში სწავლების კურსი გაირა 14-მა მოსარგებლემ, დასაქმდა 57%;
- პროფესიული განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე პირთათვის, პროფესიული საქმიანობის წამოწყება/განვითარების მხარდაჭერის მიზნით 6 მოსარგებლე უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი სამუშაო აღჭურვილობით;
- სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის ფარგლებში ორგანიზებულ იქნა 12 სამუშაო შეხვედრისა და საზღვაო ბიზნეს ფორუმის ჩატარება.

აჭარის დასაქმების სააგენტოს საშუამავლო მომსახურების შედეგად 2023 წელს 1050 ადამიანი დასაქმდა. გასულ წელთან შედარებით 10%-ით გაზრდილია დასაქმების მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა 60%-ზე მეტი დასაქმდა გრძელვადიანად.

2024 წლის სააგენტოს ბიუჯეტი შეადგენს 1 340 800 ლარს. გასულ წელთან შედარებით ბიუეჯეტი გაზრდილია 12%-ით. სააგენტო მიმდინარე წელს დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფის ფაგრლებში ახორციელებს 8 ქვეპროგრამას.

სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის ფარგლებში დაგეგმილია ზოგად საგანამანთლებლო დაწესებულებების მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეებისათვის საინფორმაციო ტურების ორგანიზება სასწავლებლებსა და კომპანიებში. აღნიშნული აქტივობის მიზანია მოსწავლეებს აუმაღლდეთ პროფორიენტაციის შესახებ ცნობიერება,

შეექმნათ გარკვეული წარმოდგენა პროფესიების შესახებ, რაც დაეხმარებათ მათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში პროფესიის არჩევისას.

განათლება, კულტურა, სპორტი

განათლებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მისი ხარისხის ზრდა მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. შესაბამისად, გრძელდება განათლების ბიუჯეტის ზრდის პროცესი.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდია. 2023 წლის ბიუჯეტი 115 165 000 ლარით განისაზღვრა, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტი - 140 621 000 ლარით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად რეგიონში განათლების ხარისხის ზრდას, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შექმნასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ინფრასტრუქტურის შექმნის, კადრების მომზადების, ახალგაზრდების ხელშეწყობის მხრივ.

2023-2024 წლებში გრძელდება საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება. საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მიმართულებით 2023 წელს გამოყოფილი იყო 37 მლნ ლარი, ხოლო 2024 წელს 40 მლნ ლარი.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - 2023-2024

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2023 წელს დაასრულა 2 საჯარო სკოლის მშენებლობა (დაბა შუახევი და ბათუმის N15 სკოლები). ასევე, დასრულდა სპორტული და სააქტო დარბაზების კორპუსის მშენებლობა

(მახოს სკოლა). 3 სკოლის (ბეღლეთი, ხუცუბანი, N16), ასევე ერთი სპორტ-დარბაზის (დაბა ქედა) მშენებლობა დასრულდება 2024 წელს.

2023 წელს განხორციელდა 2 სკოლის სრული და 45 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. 2024 წელს დასრულდება 4 სკოლის და 3 სპორტ-დარბაზის მშენებლობა.

2024 წელს ჯამში განხორციელდება 125 საჯარო სკოლის მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, მათ შორის:

- განხორციელდა 36 სკოლის სასწავლო და სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები;
- ასევე, განხორციელდა 89 სკოლის სასწავლო და სპორტ-დარბაზების კორპუსების სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობის, ღია მოედნების მოწყობის სამუშაოები. მათ შორის სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 18 კორპუსს.

მსხვილი პროექტები მუნიციპალიტეტების მიხედვით:

ბათუმი: მიმდინარეობს ბათუმის N16 საჯარო სკოლის და ასევე, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა. მიმდინარეობს ბათუმის N7 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. გრძელდება ბათუმის N9, N22 და N26 საჯარო სკოლების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2024 წელს იგეგმება ბათუმის N3 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის, ბათუმის N14 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის, ბათუმის N18 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის და ბათუმის N31 საჯარო სკოლების მშენებლობის დაწყება.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმდინარეობს ბათუმის N4 და N5 სკოლების სრული რეაბილიტაცია.

ქობულეთი: დასრულების ეტაპზეა ხუცუბნის სკოლის მშენებლობა და ბუკნარის სკოლის სრული რეაბილიტაცია.

2024 წელს დაიწყება საჩინოს საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია. დაგეგმილია ახალი სკოლების მშენებლობის დაწყება ბობოყვათში, მუხაესტატეში, კოხსა და კონდიდში. დაიწყება სკოლების სრული რეაბილიტაცია ციხისძირში, ჯიხანჯურში, აჭყვისთავსა და ოჩხამურში.

ხელვაჩაური: მიმდინარეობს მახინჯაურის სკოლის დამატებითი შენობის მშენებლობა. დასრულდა მახოს სკოლის სპორტული და სააქტო დარბაზების მშენებლობა, დასრულების ეტაპზეა განთიადის საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების მშენებლობა.

უახლოეს პერიოდში დაიწყება ზემო წინსვლის საჯარო სკოლის მშენებლობარეკონსტრუქცია, ასევე დაგეგმილია სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობა, ახალშენის N1 სკოლის რეკონსტრუქცია და დამატებითი შენობის მშენებლობა. ერგეს, აგარისა და ჩხუტუნეთის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოები.

ქედა: დასრულების ეტაპზეა დაბა ქედის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობა. დაიწყება ზვარეს საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობა, ასევე განხორციელდება 9 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შუახევი: დასრულდა დაბა შუახევის საჯარო სკოლის მშენებლობა. ასევე განხორციელდება 10 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ხულო: დასრულების ეტაპზეა ბეღლეთის საჯარო სკოლის მშენებლობა. გრძელდება ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლისა და კამპუსის მშენებლობა.

იგეგმება დანისპარაულის, უჩხოს და მეკეიძეების საჯარო სკოლების მშენებლობის დაწყება, მიმდინარეობს ხიხაძირის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები. ასევე, განხორციელდება 11 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სკოლამდელი განათლება

2023 წლიდან დაიწყო, როგორც საჯარო, ასევე კერძო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების თვითშეფასებისა და მათი მხარდაჭერის პროცესი ავტორიზაციის გავლის მიზნით. სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აგრძელებს ადრეული განათლების დაწესებულებებში მომსახურების ხარისხის გაზრდისა და სახელმწიფო სტანდარტების დაცვის ხელშეწყობას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფინანსდა ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით 2 სახელმძღვანელოს თარგმნა.

ზოგადი განათლება

სკოლებში თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, უკვე დაწყებულია სკოლების მასშტაბური მშენებლობარეაბილიტაციის პროექტი. მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის მოწყობის პარალერულად, სასკოლო ცხოვრების მრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა ინტერესების, უნარების რეალიზებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. სწორედ, ამ მიზნებს ემსახურება პროგრამა - **საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება.** 2023 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- თანამედროვე სასკოლო ინვენტარით აღიჭურვა 26 საჯარო სკოლა. ბიუჯეტი - 566 000 ლარი;

- თანემდროვე კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებით, ეკრანებით, ხმის აპარატურით აღიჭურვა 8 საჯარო სკოლა. 2023-2024 წლებში აჭარის რეგიონების სკოლებში შეტანილ იქნა 1910 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა, რაშიც არ შედის პირველკალსელთა ბუკები;
- 12 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაში განახლებულია მხატვრული ლიტერატურა. ბიუჯეტი - 62 400 ლარი. ბიბლიოთეკების რემოდელირების ფარგლებში შეძენილია 4 სკოლის საბიბლიოთეკო სივრცისათვის პროექტორი, ეკრანი, ლეპტოპი, კარტრიჯი, პრინტერი. ბიუჯეტი - 65 100 ათასი ლარი. სასკოლო ბიბლიოთეკების რემოდელირების პროექტი გულისხმობს სკოლაში ბიბლიოთეკის მოწყობას, სადაც სამკითხველო სივრცეები მოწყობილია სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისათვის გათვლილად, შესაბამისი ინვენტარით, წიგნადი ფონდით, კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებით და სხვა. ამ სივრცეში შეესაძლებელია ლიტერატურული საღამოების, დებატების, ფილმებისა თუ ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვა;
- 3 საჯარო სკოლა აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტების კომპლექტით: ბიუჯეტი - 30 000 ლარი;
- 14 საჯარო სკოლა აღჭურვილია სპორტული ინვენტარით. ბიუჯეტი - 69 300 ლარი;
- 9 საჯარო სკოლის სახელოვნებო სივრცე რემოდელირებულია და აღჭურვილია ავეჯით. ბიუჯეტი - 63 400 ლარი.

2024 წელს პროგრამის ბიუჯეტი 3 075 000 ლარია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 20 საჯარო სკოლის სასკოლო ინვენტარით და ტექნოლოგებით აღჭურვა, 10 სკოლის სასკოლო ლაბორატორიით; 5 სკოლის მუსიკალური ინსტრუმენტებით, 30 სკოლის სპორტული ინვენტარით აღჭურვა; გათვალისწინებულია 4 ბიბლიოთეკისა და 9 სახელოვნებო სივრცის რეკონსტრუქცია/რემოდელირება.

კონკურსები და ოლიმპიადები - მოსწავლეებში კითხვის პოპულარიზაციის მიზნით, იმართება ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების და ესეების კონკურსი,

საგნობრივი ოლიმპიადა, დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის კონკურსები და სხვა. ხორციელდება სასკოლო ინიციატივების დაფინანსება სასკოლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების განვითარების მიზნით. ორგანიზება უკეთდება საზაფხულო სკოლებისა და მოსწავლეთა საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებს.

- მაღალმთიანი სკოლების წარმატებული მოსწავლეებისათვის განხორციელდა შემეცნებითი ტურები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 195 მოსწავლემ;
- 2023 წელს კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოების მიზნით შეძენილ იქნა 106 პლანშეტური კომპიუტერი და 38 პორტაბელური კომპიუტერი და 3 სმარტ საათი;
- განხორციელდა ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების კონკურსი, ესეების კონკურსი, საგნობრივი ოლიმპიადა, კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის;
- 2023 წელს დაფინანსდა 21 სასკოლო ბიბლიოთეკის და 23 სასკოლო კლუბის ინიციატივა;
- განხორციელდა საქართველოდან 15 მოსწავლისა და მასწავლებლის ერთკვირიანი ვიზიტის ორგანიზება პოლონეთში;
- ორგანიზება გაეწია 6 საზაფხულო სკოლის ორგანიზებას - ფიზიკის, მათემატიკის და სამოქალაქო განათლების მიმართულებით;

2024 წელს კონკურსებისა და ოლიმპიადების ორგანიზებისთვის განკუთვნილია 870 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა კონკურსების, ოლიმპიადების, საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება, 20 სასკოლო კლუბის და 35 სასკოლო ბიბლიოთეკის პროექტის დაფინანსება, 10 საზაფხულო ბანაკის ორგანიზება.

ინკლუზიური განათლება

ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ინკლუზიური განათლება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერაა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისას ხდება შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინება და შენობების ადაპტირება; ყველა სფეროში, კონკურსებისა თუ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას პრიორიტეტი ენიჭება პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც ორიენტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაციაზე, მათ ჩართულობაზე; სტუდენტთა დახმარების პროგრამაში ცალკე კატეგორიად გამოიყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტების დაფინანსება.

ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა - ბათუმის N26 საჯარო სკოლის, დაბა ქედის საჯარო სკოლისა და ქობულეთის N3 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების ცენტრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით, ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების გათვალისწინებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს სთავაზობენ სკოლის შემდგომი პროგრამების მრავალფეროვან სპექტრს.

ინკლუზიური განათლების ცენტრების სპეციალიზებულ სექციებს შორის არის კერამიკის, გამოყენებითი ტექსტილისა და სახვითი ხელოვნების განყოფილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეების შემოქმედებითი გამოხატვისა და უნარების განვითარების შესაძლებლობებს. ინკლუზიური განათლების ცენტრები ხელს უწყობენ მოსწავლეების თვითრწმენისა და თვითშეფასების ამაღლებას, საზოგადოებაში ინტეგრირებას, სასკოლო პროცესში ჩართულობის ამაღლებას, პროფესიულ თვითგამორკვევას და სკოლაში დადებითი კლიმატის შექმნას.

2024 წელს პროგრამის ბიუჯეტი 680 000 ლარია. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბათუმის N26 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების ცენტრის სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა ტექნოლოგიებით.

ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის

მასწავლებლები მაღალმთიან აჭარაში: 2023 წლისათვის მაღალმთიანი აჭარის საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის დეფიციტის შესავსებად დასაქმებულია 17 პედაგოგი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების, მათი ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებს საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე მასწავლებლებს საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით. 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2 მასწავლებლის საერთაშორისო-სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა. 2024 წელს დაგეგმილია 15 მასწავლებლის დაფინანსება.

პროექტი „ჩემს გაკვეთილზე“: 2023 წელს გამოცხადდა კონკურსი მასწავლებელთა საგანმანათლებლო ინიციატივების დაფინანსების მიზნით. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მასწავლებლებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში საკლასო აქტივობების გამრავალფეროვნების გზით. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 61 პროექტი.

2024 წელს პროგრამის ბიუჯეტი - 1 017 000 ლარია. პროგრამის "პროექტი ჩემს გაკვეთილზე" ფარგლებში დაგეგმილია 161 ინიციატივის დაფინანსება, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა და მაღალმთიან აჭარაში მასწაველბელთა დეფიციტის შევსება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით **ბათუმში, განათლებისა და მეცნიერების ქალაქში 560 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯ „ბლექსის“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა დაიწყო.** პროექტის ფარგლებში აშენდება ახალი სასწავლო კომპლექსი, სადაც განთავსდება თეორიული და პრაქტიკული აუდიტორიები, სტუდენტური სივრცე, შეხვედრების ოთახი, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, არქივი, სპორტული დარბაზი. ამასთან, პროექტი 50 სტუდენტზე გათვლილ საერთო საცხოვრებლის მშენებლობასაც ითვალისწინებს. ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ღირებულება 17 179 515 ლარს შეადგენს, 2024 წელს დასრულდება.

კოლეჯ „ბლექსში“ დაგეგმილია სხვადასხვა მიმართულების 30 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. მათ შორის – სასტუმრო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, სათავგადასავლო ტურიზმი, მშენებლობის წარმოება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი, ტელეკომუნიკაცია, სამკერვალო წარმოება და სხვა.

პროფესიული განათლების ხელშეწყობა

2023 წელს ქობულეთის პროფესიულ კოლეჯ ,,ახალ ტალღის“ და ბათუმის პროფესიული კოლეჯ ბლექსის ათმა პედაგოგმა გაიარა პროფესიული განვითარების ტრენინგი და აიმაღლა კვალიფიკაცია.

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა: 2023 წელს ქობულეთის პროფესიულ კოლეჯ „ახალ ტალღის“ და ბათუმის პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ 5 პედაგოგი გაემგზავრა გერმანიაში, რავენსბურგის პროფესიულ კოლეჯში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

პროექტი განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ერთად.

2024 წელს პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ერთად იგეგმება ქობულეთის პროფესიულ კოლეჯ „ახალ ტალღის" და ბათუმის პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის" 10 მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლება. 2024 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი 70 000 ლარია.

უმაღლესი განათლება

სტუდენტთა დახმარება - სტუდენტთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებას. დაფინანსება გაიცემა წლის განმავლობაში ორჯერ სემესტრში 1125 ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაიცემა სტუდენტებზე მაღალმთიანი აჭარიდან, სოციალურად დაუცველი ოჯახიდან, მრავალშვილიანი ოჯახიდან და სხვ.

2023 წელს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლება დაუფინანსდა 954 სტუდენტს, ბიუჯეტი - 1 005 400 ლარი.

ასევე, სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის მიზნით დაფინანსდა 70% - 100% გრანტის მფლობელი 131 პირველი კურსის სტუდენტი.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 76 წარჩინებული სტუდენტი.

უპრეცედენტო გადაწყვეტილება უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით - ბათუმში მოქმედი სამი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის დაიგეგმა საერთო საცხოვრებელის მშენებლობა. აშენდება 1000 სტუდენტზე გათვლილი საცხოვრებელი კამპუსი.

2024 წელს პროგრამის ბიუჯეტი 1 920 000 ლარია. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1350 სტუდენტის სწავლის საფასურის დაფინანსება უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, ასევე დაგეგმილია 450 გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტის ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა.

STEM და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა. ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა - ქვეპროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით გაიცემა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) მიმართულებით.

ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია - ასევე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით გაიცემა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართველოლოგიის მიმართულებით.

2023 წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 47 სტუდენტი.

2024 წელს პროგრამის ბიუჯეტი 60 000 ლარია. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 60 სტუდენტის ფინანსური მხარდაჭერა.

სწავლა საზღვარგარეთ - პროგრამის მიზანია ახალგაზრდა და ნიჭიერი კადრების აკადემიური განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება და გამოცდილების შეძენა. ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს

მოქალაქეს, რომელიც ჩარიცხულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე /მესამე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე პირს, რომელიც ჩარიცხულია პოსტ საბაკალავრო/პოსტ სამაგისტრო სახელოვნებო პროგრამაზე. 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 38 სასწავლო გრანტი.

საბაკალავრო პროგრამა - ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ისწავლის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი სემესტრის მანძილზე და აქვს საქართველოში შესაბამისი უნივერსიტეტიდან თანხმობა სტუდენტის ერთი სემესტრით გაცვლის თაობაზე შემდგომში კრედიტების აღიარების და საქართველოში სწავლის გაგრძელების პირობით. 2023 წელს პროგრამის ფარგლებში გაიცა 50 სასწავლო გრანტი. 2023 წელს ქვეპროგრამის განხორციელებაზე დაიხარჯა 1 187 800 ლარი.

2024 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1 250 000 ლარია. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 47 სტუდენტის ფინანსური მხარდაჭერა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე, ასევე ბსუ-ს, საზღვაო აკადემიის და ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 50 სტუდენტის ფინანსური მხარდაჭერა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურზე 1 სემესტრიან მანძილზე.

სტაჟირება უცხოეთში - პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ სტაჟირებას ევროპის ასამბლეის წევრ ქვეყნებში. 2023 წელს პროფესიულ სტაჟირებაზე 6 სტაჟიორი საქართველოდან გაემგზავრა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. 2024 წელს ქვეპროგრამის

ბიუჯეტი 108 500 ლარია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 8 სტაჟიორის გაგზავნა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და 8 სტაჟიორის მიღება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კონფერენციების და სეზონური სკოლების ორგანიზება, სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა.

2023 წელს დაფინანსდა 5 სეზონური სკოლის, 7 კონფერენციის ორგანიზება, 7 უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა.

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება (3000 ლარი) გაიცემა შემდეგი სახის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად: კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი. 2023 წელს ქვეპროგრამას დაემატა ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერის ღონისძიება - კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დოქტორანტებს, რომლებიც განაცხადის წარდგენის პერიოდში სწავლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. 2023 წელს დაფინანსდა 12 პროფესორის (სრული, ასოცირებული, ასისტენტი) ასევე, 12 დოქტორანტის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა.

2024 წელს პროგრამის ბიუჯეტი 740 000 ლარია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 10 პროფესორ/მასწავლებლის და 10 დოქტორანტის სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა, 12 სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზების და 5 წიგნის თარგმნა/ბეჭდვის ფინანსური მხარდაჭერა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - პროგრამის მიზანია სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და

მატერიალურტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წელს განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა: დაფინანსდა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საქმიანობა.

სასწავლო პრაქტიკის ხელშეწყობა: 58 სტუდენტმა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და მოწინავე კომპანიებში გაიარეს სასწავლო პრაქტიკა. 2024 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი 5 475 000 ლარია.

სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება: შესყიდული იქნა მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრში დინამიური პოზიცირების ხიდურის DP-ის ლაბორატორია/სასწავლო სიმულატორი, ასევე, მოხდა DP-ის სიმულატორის გარდაქმნა ხიდურის სიმულატორად, რისთვისაც განხორციელდა DP-ის სიმულატორზე მართვის კონსოლების, სავიზუალიზაციო ეკრანისა და სხვა, სიმულატორისთვის საჭირო სპეციფიკური ტექნიკური პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა, წვრთნისა და სწავლების პროცესის განხორციელებისათვის ECDIS-ის კლასის ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა, კერძოდ, ვიზუალიზაციისათვის საჭირო LCD ეკრანები და ECDIS კლასის ვირტუალური რეალობის კონსოლების შესყიდვა, ბიუჯეტი - 636 200 ლარი.

დასრულდა საზღვაო-სახანძრო უსაფრთხოების სასწავლო-საწვრთნელი ნაგებობის მშენებლობის პირველი ეტაპი. აკადემიის ტერიტორიაზე დამონტაჟდა გემის ხიდურის ფორმის ნაგებობა.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულება ელექტრომექანიკური დაჭიმვისა და შეკუმშვის ტესტირების ლაბორატორიის შესყიდვაზე, რომელიც დაფინანსდა თანხით - 105,4 ათასი ლარი;

აკადემიის 5-მა სტუდენტმა წარმატებით გაიარა საზღვაო პრაქტიკა (Georgian Crewing Agency - GCA) საკრუინგო კომპანიაში.

2024 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2 000 000 ლარია.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი - 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სასწავლო ტექნიკით აღჭურვა. 2024 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1 460 000 ლარია.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი - 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები. 2024 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი 440 000 ლარია.

კულტურა

2023 წელს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობისთვის გამოყოფილი იყო 27 575 000 ლარი, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტი 38 509 000 ლარს შეადგენს.
300-ზე მეტი კულტურული ღონისძიება ჩატარდა სამინისტროს და საქვეუწყებო დაწესებულებების ორგანიზებით. გრძლდება კულტურის სფეროში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა.

2023 წელს კულტურის სხვადასხვა მიმართულების მხარდასაჭერად გაიცა დღემდე რეკორდული რაოდენობის 34 გრანტი, რითაც დაფინანსდა ფესტივალები, შემოქმედებითი პროექტები და დოკუმენტური ფილმები.

კულტურული ღონისძიებები ჩატარდა შემდეგი მიმართულებებით: სახელოვნებო განათლების, ინკლუზიური და ინტეგრირებული პროექტები, თეატრები და საშემსრულებლო ხელოვნება, მუზეუმები, მწერლობა, მხატვრობა, თეატრი, კინო, ანიმაციური კინო, კლასიკური და ტრადიციული მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა, თანამედროვე ხელოვნება.

სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით ხორციელდება საჯარო სკოლების აღჭურვა მუსიკალური ინსტრუმენტებით, რაც საშუალებას იძლევა თითოეულ სკოლაში შეიქმნას ახალგაზრდული ბენდები. 2023 წლიდან აღნიშნული მიმართულებით რეგიონს კიდევ ერთი ახალი ღონისძიება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასკოლო ბენდების ფესტივალი დაემატა, რომელშიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო და კერძო სკოლების 10 ბენდი მონაწილეობდა.

ხელოვანთა საერთაშორისო გასტროლები განხორციელდა საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, ლატვიაში, პოლონეთში, რუმინეთში, ხორვატიაში, ბულგარეთში, თურქეთში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო ურთიერთობებს სამუზეუმო სექტორში, მათ შორის აღსანიშნავია, რომ ბელგიის ხელოვნებისა და ისტორიის სამეფო მუზეუმში სსიპ აჭარის მუზეუმიდან (ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი და ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი) 36 ექსპონატი გამოიფინა, ხოლო ისრაელში, ქალაქ იერუსალიმში ღონისძიების „ბათუმის დღეები" - ფარგლებში სსიპ აჭარის მუზეუმი ეთნოგრაფიული კუთხით წარსდგა საზოგადოების წინაშე;

ფოლკლორის მიმართულებით 2023 წელს მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა - სასცენო სამოსი გადაეცა მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებთან არსებულ 7 ანსამბლს და 147 შემსრულებელს.

განხორციელდა მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებთან არსებული ანსამბლებისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შესყიდვა.

საქართველოს ფოლკლორის ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა ლოტბარებისა და ქორეოგრაფებისთვის ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აჭარის მუნიციპალიტეტებში მოღვაწე ქორეოგრაფებმა და ლოტბარებმა, ტრენინგის მიზანს წარმოადგენს ქართული ხალხური ცეკვის და სიმღერების საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა-გამდიდრება, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების ამაღლება, ავთენტური ტრადიციების დაცვა.

საგრანტო პროექტები - კულტურისა და ხელოვნების ღონისძიებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განხორციელდა „აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალების საგრანტო კონკურსი", რომლის ბიუჯეტიც ყოველწლიურად იზრდება და 2023 წელს 539 765 ლარს შეადგენდა. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა 10 ფესტივალი.

ახალგაზრდა ხელოვანთა მხარდაჭერის მიზნით განხორციელდა „ახალი შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი", რომლის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება და 2023 წელს 200 000 ლარს შეადგენდა. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში 2023 წელს 22 შემოქმედებითი პროექტი დაფინანსდა.

აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა „დოკუმენტური ფილმების საგრანტო კონკურსი", რომლის ფარგლებშიც 2023 წელს დაფინანსდა 2 დოკუმენტური ფილმი.

სახელოვნებო სკოლები - 2023 წლიდან გაიზარდა სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 800-მდე თანამშრომელს.

ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს, საგანმანათლებლო და სასწავლო შემეცნებით და სოციალურ პროექტებში ჩართული იყო 5000-მდე ახალგაზრდა. სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს არა ერთ საერთაშორისო კონკურსსა თუ ფესტივალში. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლამ 2022 წელს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრისაგან ექვსი მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება მიიღო, ხოლო 2024 წელს აღნიშნულ მომზადება/გადამზადების პროგრამებს დაემატა კიდევ ერთი პროგრამა.

მუზეუმები 2023 წელს:

- აჭარის მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობამ - 80 000 მიაღწია
- ჩატარდა - 1239 ექსკურსია;
- მოქმედებს - 61 საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო - 21 000 მდე მოსწავლემ;

კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - 2024 წელს განხორციელდება სახელოვნებო სკოლის მშენებლობა. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურის რამდენიმე დაწესებულების რეაბილიტაცია და სხვადასხვა ინსტრუმენტებით აღჭურვა. ასევე, დაგეგმილია აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის - „არსიანის“ ახალი სარეპეტიციო სივრცის მშენებლობა, რისთვისაც მიმდინარე წელს განხორციელდება პროექტის შესყიდვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კულტურის მიმართულებით 2024 წელს ახორციელებს პროგრამებსა და ქვეპროგრამებს საერთო ბიუჯეტით 3 435 000 ლარი, კერძოდ:

პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ფესტივალების, კონცერტების, წარმოდგენების, გამოფენების, სახელოვნებო პროექტებისა და კულტურის სხვა ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა. სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა კულტურის სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც დაჯილდოვდნენ თეატრალური სფეროს წარმომადგენლები. ასევე, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალების საგრანტო კონკურსი, საგრანტო წესით დაფინანსდება არა ნაკლებ 10 ფესტივალი.

ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალი შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც საგრანტო წესით დაფინანსდება 30 პროექტი, რაც უზრუნველყოფს შემოქმედთა ახალი იდეების მხარდაჭერას, რეგიონში კულტურული ცხოვრების კიდევ უფრო გამრავალფეროვნებას და სახელოვნებო ღონისძიებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის გაზრდას. გარდა ამისა, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების ხელშემწყობი პროექტები.

კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სახელოვნებო სფეროს წარმომადგენელთა საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს მათ პროფესიულ ზრდას, შემოქმედებით განვითარებას, გამოცდილების გაღრმავებას, საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას და სახელოვნებო საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს დაწესდა ფრიდონ ხალვაშის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა პოეტებისთვის/მწერლებისთვის, რომლის მოსაპოვებლად განხორციელდა ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურული კონკურსი.

კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, რისთვისაც ხორციელდება იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მხარდაჭერა.

ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებები. განხორციელდება ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები, კონცერტები, გასტროლები და სხვა ღონისძიებები. ჩატარდა მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით. გრძელდება კულტურის ცენტრებთან არსებული ანსამბლების სასცენო სამოსითა და აქსესუარებით, ასევე, მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფის ღონისძიებები.

კულტურული მემკვიდრეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, აღდგენა, ზრუნვა. აქტიურად მიმდინარეობს აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია-კონსერვაცია, მუზეუმნაკრძალების ინფრასტრუქტურის მოწყობა, არქეოლოგიური კვლევა-ძიება და ძეგლების მარკეტინგული მხარდაჭერა.

2023 წლის კულტურული მემკვიდრეობის ბიუჯეტი - 2 678 440 ლარს შეადგენს.

- დასრულდა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი - ბიუჯეტი-409 000 ლარი. შეიცვალა ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის სახურავი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ჩხერის ხიდს - ბიუჯეტი -156 000 ლარი;

- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ბათუმში, თავდადებულის ქ. N 10-ში, 26 მაისის ქ. N37ში; რუსთაველის ქ. N31-ში; რუსთაველის ქ. N7-ში, კ. გამსახურდიას ქ. N9-ში არსებულ ურბანულ ძეგლებს - ბიუჯეტი 1 178 000 ლარი, რომლებიც თავიანთი საფასადო სტრუქტურითა და მხატვრული გაფორმებით საინტერესო და მნიშვნელოვან შენობა/ნაგებობებს წარმოადგენენ. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა მაქაცარიას ქ.N-1 ში, წერეთლის ქ.N1 -ში და მელაშვილის ქ. N- 7 ში მდებარე ძეგლებს;
- დაიწყო ხინოწმინდაში, იოანე ნათლისმცემლის ტაძრის რეაბილიტაცია; (ბიუჯეტი- 500 000 ლარი);
- დაიწყო გონიო-აფსაროსის სამუზეუმო სივრცის განახლება და პეტრას ციხის ტერიტორიაზე ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა.(ბიუჯეტი -270 000 ლარი).

2023 **წელს** გონიო-აფსაროსის მუზეუმ- ნაკრძალს 98 678 ვიზიტორი, ხოლო პეტრას ციხეს 60 650 ვიზიტორი ესტუმრა.

2024 **წლის ბუიჯეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით 6 091 550 ლარს შეადგენს, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების გატარება.**

რეაბილიტაცია ჩაუტარდება 12 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

- მიმდინარეობს ხინოწმინდაში, იოანე ნათლისმცემლის ტაძრის რეაბილიტაცია ბიუჯეტი 250 000 ლარი;
- მიმდინარეობს გონიო-აფსაროსის სამუზეუმო სივრცის განახლება და პეტრას ციხის ტერიტორიაზე ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა- ბიუჯეტი 810 000 ლარი;
- განხორციელდება ბათუმში, ახვლედიანის ქ. N15-ში, ლ. ასათიანის N7-ში და მ. აბაშიძის ქ.N43-ში არსებული ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები - ბიუჯეტი 323 000 ლარი;

- განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ძენწმანისა და ზვარეს ჯამეების რეაბილიტაცია - ბიუჯეტი 713 000 ლარი;
- განხორციელდება ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრისა და ლაო ჯინ ჯაოს სახელობის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები- ბიუჯეტი 1 000 000 ლარი;
- შესყიდულ იქნება 6 ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძეგლის საპროექტო დოკუმენტაცია.

სააგენტოს ძალისხმევით და აქტიურობით საქართველოში პირველად, რომის იმპერიის ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ,,Limes Congress 2024'' ჩატარდება. ნეინმეგენში ოფიციალურად დასახელდა ბათუმი, როგორც კონგრესის მასპინძელი მხარე.

ასევე, განხორციელდება არქეოლოგიური ექსპედიციები, მემკვიდრეობის შესახებ საინფორმაციო მასალების გამოცემა და საინფორმაციო მარკეტინგული ღონისძიებების გატარება.

სპორტი

სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები

2024 წლის სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ბიუჯეტი 35 794 492 მლნ ლარს შეადგენს.

მიმდინარე პროექტები:

- **ჩაქვის სარაგბო სტადიონი** - უკვე დასრულდა ძირითადი ნაგებობის მშენებლობა. დასრულდა გადახურვა. მიმდინარეობს გათბობა-გაგრილების, ვენტილაციის, სანტექნიკისა და ელექტრო ქსელების მოწყობითი სამუშაოები. სრულდება მოედნის

პერიმეტრზე ზედაპირული წყლების შემკრები სანიაღვრე არხების მოწყობა. ასევე დაწყებულია მოედნის ტერიტორიის დაპროფილება-მოსწორება სადრენაჟო სიტემების სამუშაოების საწარმოებლად. დასრულებულია ტრიბუნების მოწყობა. ევროსტანდარტების მოედანი გათვლილია 300 მაყურებელზე.

2024 წელს დაგეგმილი პროექტები:

- **ყინულის არენა და საცურაო აუზი** - პროექტი ქ. ბათუმში, ლადო ასათიანის 27-ში მდებარე 24 563 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დახურული სპორტული კომპლექსის, ყინულის არენის და საცურაო აუზის სამშენებლო სამუშაოებს ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით, ყინულის არენის და ორი საცურაო აუზის მოწყობა საერთაშორისო ოლიმპიური სტანდარტების შესაბამისად განხორციელდება. მასშტაბური პროექტის განხორციელებით ბათუმს ახალი თანამედროვე სტანდარტების, 1500 მაყურებელზე გათვლილი ყინულის სასახლე და 800 მაყურებელზე გათვლილი საცურაო აუზი ექნება.
- **ქობულეთის უნივერსალური სპორტული კომპლექსი** - პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე ფეხბურთის, კალათბურთის და ხელბურთის მინი დარბაზები აშენდება. პროექტი ასევე ხელოვნურ საფარიან და ქვიშის საფარიან მოედანებს და სკეიტპარკს მოიცავს. ტერიტორიაზე 8 კოტეჯი მოეწყობა. აშენდება სასტუმრო და ღია აუზი. ამ ეტაპზე პროექტის განიხილვა მიმდინარეობს.
- **ხელვაჩაურის სპორტკომპლექსი და „მაჭახელას" საფეხბურთო სტადიონი** - პროექტი ითვალისწინებს: ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის დარბაზებს არანაკლებ 300 ადამიანზე გათვლილი ტრიბუნებით. შენობაში 50 კვ.მ ფართობის ჭიდაობის, ძალოსნობის და ძიუდოს სატრენაჟორო დარბაზები მოეწყობა. ტერიტორიაზე 400 ადამიანზე გათვლილი ტრიბუნით ბუნებრივსაფარიანი ღია საფეხბურთო სტადიონი, ასევე სასტუმრო ნომრები განთავსდება.
- **ქედის სასპორტო კომპლექსი და საფეხბურთო მოედანი** - პროექტი მოიცავს მინი ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთისთვის განკუთვნილ უნივერსალურ დარბაზებს FIBA-ს სტანდარტის იატაკითა და სპორტული განათებით.

ტრიბუნები - 300 მაყურებელზეა გათვლილი. ასევე დაგეგმილია 15 ნომრიანი სასტუმროს მოწყობა.

- **ჭადრაკის სასახლე** - ორსართულიან შენობაში 600 კვ.მ ფართის 2 სატურნირო დარბაზი, სამეცადინო ოთახი და საკონფერენციო სივრცე, ასევე 15 ნომრიანი სასტუმრო განთავსდება.
- **ფურტიოს და ხუცუბნის სარაგბო მოედნები** - პროექტი ითვალისწინებს ფიფას სტანდარტების ხელოვნურ საფარიანი მოედნის მოწყობას ხუცუბანში, სპორტული განათებით. ფურტიოში ფიფას სტანდარტების ხელოვნურ საფარიან სარაგბო ბაზაზე კი 150 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნები სასტუმრო ნომრები, ადმინისტრაციული და მოსასვენებელი ოთახები და გასახდელები განთავსდება.
- **ხულოს მუნიციპალიტეტში, დაბა ხულოში, სპორტული სკოლა და საფეხბურთო სტადიონი მოეწყობა**

უკვე განხორციელებული პროექტები:

- ბათუმის „აჭარაბეთაერენა";
- ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო;
- ბათუმის უნივერსალური სპორტკომპლექსი;
- შუახევის საფეხბურთო მოედანი;
- ღორჯომის სპორტული დარბაზი ჩაქვის ძალოსნობის ბაზა.

მუნიციპალიტეტებში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების 2025-2028 წლის ბიუჯეტი - 187,6 მლნ ლარი.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩატარდა აჭარის ჩემპიონატები, სახელობითი/რესპუბლიკური ტურნირები და სასწავლო-საწვრთნო შეკრებები. ბათუმმა უმასპინძლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტულ დელეგაციას. ჩატარდა ორმოცდაათამდე მაღალი დონის საერთაშორისო შეჯიბრება, მათ შორის მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატი ჭადრაკში, ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, საერთაშორისო ტურნირი კონტაქტურ კარატეში, მსოფლიო თასის ეტაპები ფარიკაობაში, ახალგაზრდა კონტენდერების ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში.

დაფინანსდა აჭარის ნაკრების სპორტსმენებისა და მწვრთნელების მონაწილეობა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირსა და საერთაშორისო შეკრებაზე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში: მხარდაჭერილია 36 სპორტული ფედერაცია, დაფინანსდა 446 სპორტული ღონისძიება, ჩატარდა 2023 წლის შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც გამოვლინდა და დაჯილდოვდა წლის საუკეთესო სპორტსმენები, პარა-სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტული ჟურნალისტები და სპორტის სფეროს წარმომადგენლები.

2023 წლის განმავლობაში მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატებსა და პირველობებში მიღწეული იქნა განსაკუთრებული წარმატებები და გაცემული იქნა 447 სპორტსმენსა და მწვრთნელზე ერთჯერადი ფულადი ჯილდო.
2023 წლის ერჯერადი ფულადი ჯილდოს ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 1 000 000 ლარამდე.

სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში მოპოვებული იქნა 293 მედალი, მათ შორის 84 ოქრო, 80 ვერცხლი და 129 ბრინჯაო, აქედან 74 მედალი მოპოვებულია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე და 219 საქართველოს ჩემპიონატებსა და პირველობებზე. აჭარის რეგიონიდან სპორტსმენებისა და პარა-სპორტსმენების ანგარიშზეა მსოფლიო ჩემპიონატის 8 და ევროპის ჩემპიონატის 16 ოქროს მედალი.

სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს და პრიზიორებს მოპოვებული ტიტულის შესაბამისად დაენიშნათ ყოველთვიური სტიპენდია, რომელიც შეუნარჩუნდებათ ტიტულის ფლობის განმავლობაში.

დაფინანსდა აჭარაში მოქმედი 8 სპორტული ფედერაციის 72 მასობრივი სპორტული ღონისძიება, მათ შორის პარა-ფესტივალი შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა შორის, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა აჭარის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს შორის.

2024 წელს დაფინანსდება 44 სპორტული ფედერაცია, გაიზარდა სპორტული ფედერაციების ყოველწლიური დაფინანსება. ახალგაზრდების მასიური ჩართულობა სპორტში წინა წლებთან შედარებით 50 პროცენტითაა გაზრდილი.

2024 წელს ბათუმში ჩატარდება საერთაშორისო მასშტაბის სპორტული ღონისძიებები, მათ შორის ირაკლი აბაშიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი კრივში, ევროპის ჩემპიონატი ქვიშის ფეხბურთში, მსოფლიო თასი ჭადრაკში, ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, ევროპის ჩემპიონატი ბილიარდში, შავი ზღვის თასი ძიუდოში, საერთაშორისო ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში, ახალგაზრდა კონტენდერების ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, საერთაშორისო ტურნირი შერეულ ორთაბრძოლებში, საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში, უშუს ბათუმის საერთაშორისო ტურნირი, საერთაშორისო ტურნირი კონტაქტურ კარატეში და ა.შ.
მასობრივი სპორტის განვითარების ფარგლებში გაიმართება მნიშვნელოვანი ტურნირები, ფესტივალები, სასკოლო და საუნივერსიტეტო ჩემპიონატები.

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ახალგაზრდების მხარდაჭერის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული ზრდის, გართობისა და დასვენებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის, საერთაშორისო და მოხალისეობრივი საქმიანობისა და გამოცდილების მიღების, შესაძლებლობებისა და ინტერესების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით 2023 წელს ჩატარდა 40-მდე ღონისძიება. **საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი** - ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ დეპარტამენტთან და ახალგაზრდობის სააგენტოს თანამშრომლობით გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 25 ქართველმა და 15 უცხოელმა ახალგაზრდამ. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა სემინარები, მასტერკლასები და პანელური შეხვედრები, რომელსაც წარუძღვნენ სერტიფიცირებული ტრენერები და მოწვეული სტუმრები.

საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებით ისარგებლა 70-მდე ბენეფიციარმა შემდეგ ქვეყნებში: ჩეხეთი, ინდოეთი, იტალია, პორტუგალია, უნგრეთი, დანია, პოლონეთი, ესპანეთი, სლოვენია, ესტონეთი, უნგრეთი, თურქეთი, შვედეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, დიდი ბრიტანეთი და გერმანია.

გაიმართა მუნიციპალური ფორუმი, ფორუმში ჩართული იყვნენ აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები.

YRC კლუბი - ახალგაზრდები ჩაერთნენ სხვადასხვა მოხალისეობრივი აქტივობების, სოციალური კამპანიების დაგეგმვის, ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული პროექტი უზრუნველყოფს ახალგაზრდების გააქტიურებას და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდას. ღონისძიების ფარგლებში მოხდა მოხალისეების გადამზადება და ეკიპირება. აქტიურ მოხალისეებს გადაეცათ წამახალისებელი პრიზები. ჩართული იყო 100-მდე ახალგაზრდა.

შშმ პირთა ჩართულობის ხელშეწყობა - აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგები და სემინარები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა შესახებ

ცნობიერების ამაღლების მიზნით. შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ გამოიცა მრავალპროფილური საინფორმაციო კრებულები აუდიო ვერსიის თანხლებით, რომელშიც თავმოყრილია შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული საკითხები. ღონისძიებაში ჩაერთო 180 ახალგაზრდა.

ახალგაზრდა მეწარმეებისა და სტარტ-აპერების მხარდაჭერა - ღონისძიების ფარგლებში, ადგილობრივი სტარტ-აპერების მხარდაჭერისა და ახალგაზრდული ეკონომიკის სტიმულირებისათვის დაფინანსდა 7 ახალგაზრდა. პროექტების ბიუჯეტის მაქსიმალური თანხა შეადგენდა 15 000 ლარს.

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა - ღონისძიება ითვალისწინებდა, აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსებას სხვადასხვა მიმართულებით, როგორიც არის: ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო - კვლევითი, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სოციალური პროექტები. თავისუფალი ინიციატივების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ბიუჯეტის მაქსიმალური თანხა შეადგენდა 3000 ლარს. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში გასულ წელს დაფინანსება მიიღო 15-მა პროექტმა.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - ახალგაზრდების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, პროგრამის თითოეულმა მონაწილემ მიიღო სასწავლო კურსის დაფინანსება მაქსიმუმ 800 ლარის ოდენობით. აპლიკანტები დაფინანსდნენ შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში: სოციალური მედია მარკეტინგი, კომპიუტერული პროგრამირება, გრაფიკული დიზაინი და სხვა. 2023 წლის განმავლობაში სულ დაფინანსება მიიღო 38 ახალგაზრდამ.

კარიერული განვითარების ხელშეწყობა - ახალგაზრდებს მიეცათ შანსი მათთვის საინტერესო მიმართულებებში გაევლოთ სტაჟირება ღია შრომის ბაზარზე. თითოეული მათგანი იღებდა ანაზღაურებას როგორც დამსაქმებლის, ისე ახალგაზრდობის რეგიონული

ცენტრის მიერ, სულ 500 ლარის ოდენობით. მიმდინარე წელს ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაში ჩართული იყო 23 ახალგაზრდა.

2024 წელს დაგეგმილი ღონისძიებები.

2024 წლის ბიუჯეტი 2 063 900 ლარია. მიმდინარე წელს ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი ზრდის ახალგაზრდების ხელმისაწვდომობას მათ მიერ შეთავაზებულ სერვისებზე, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში. ამ მიზნის მისაღწევად უკვე არსებულ პროექტებს დაემატა ახალი ღონისძიებები.

სოფლის მეურნეობა

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტი, 2022 წელთან შედარებით - 37%-ით გაიზარდა და 28 740.950 ლარი შეადგინა. 2023 წელს პროგრამები განხორციელდა 3 პრიორიტეტის ფარგლებში, კერძოდ:

- სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა;
- ტყის მდგრადი მართვა.

2023 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მის სისტემაში შემავალმა ორგანიზაციებმა განახორციელა 15 პროგრამა და 14 ქვეპროგრამა.

სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის უმნიშვნელოვანესი დარგია, მნიშვენლოვანია რეგიონში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც

დამოკიდებულია ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლებასა და აგრარულ სექტორში დასაქმებულების ცოდნის გაფართოებაზე.

2023 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს **მიერ სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა 7 წარმატებული პროექტი,** როგორც პირველადი წარმოების, ასევე გადამუშავება-შენახვა-რეალიზაციის მიმართულებით. **განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებში დაფინანსდა 1502 სასოფლოსამეურნეო გაერთიანებებისა და მცირე საოჯახო მეურნეობების მიერ წარმოდგენილი პროექტები.**

ფერმერთა ცოდნის ამაღლების მიზნით, აგრარული ექსტენციის მიწოდების ქვეპროგრამის ფარგლებში **უფასო ექსტენცია მიეწოდა 4260-მდე ფერმერს, აგრაომეწარმეს.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სამუშაოები შეუფერხებლად განხორციელდა, **უსასყიდლოდ დამუშავდა 2 136 ჰა მიწის სახნავ-სათესი ფართობი, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა კომპონენტს დახვნას, დადისკვას, დაფარცხვას და დაფრეზვას.**

საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა - პროგრამის ფარგლებში, სამინისტროსა და მის საქვეუწყებო დაწესებულებებში **ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 18 სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა.** ქვეპროგრამა მიზნად ისახავს, სოფლის მეურნეობის დარგში კვალიფიციური კადრების მომზადებას, მათი პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

2023-2024 წლის ციტრუსის სეზონი - საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტი ციტრუსის მიმღებ-დამხარისხებელი საწარმო ღებულობდა, ასევე სეზონზე მოქმედებდა საკოორდინაციო

შტაბი, რომელიც 24 საათიან რეჟიმში ჩართული იყო ციტრუსის რეალიზაციის და ლოჯისტიკური საკითხების მოგვარებაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, **მიმდინარე წელს სამრეწველო გადამუშავების არასტანდარტულ მანდარინზე სუბსიდია გაიზარდა**, 2022-2023 წწ-ს ციტრუსის სეზონზე გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ფიზიკური პირიდან ყოველ **0,20** ლარად შესყიდულ არასტანდარტულ მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე **0,15** ლარის ოდენობით.

2023-2024 წწ-ს ციტრუსის სეზონზე გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ფიზიკური პირიდან **0,30** ლარად შესყიდულ არასტანდარტულ მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე **0,25** ლარის ოდენობით. შესაბამისად, მეციტრუსე ფერმერებმა 20 თეთრის ნაცვლად 30 თეთრი მიიღეს. 2023-2024 წლის ციტრუსის სეზონზე, მთლიანად ქვეყნის მაშტაბით **ექსპორტირებულია სულ რეკორდული ღირებულების - 26 112 000 აშშ დოლარის 41 061 ტონა (მ.შ დაახლოებით 80% აჭარის რეგიონიდან) სტანდარტული ქართული მანდარინი.** რაც შეეხება **არასტანდარტულ მანდარინს 12 070 ტონა ციტრუსი იქნა გადამუშავებული,** საიდანაც სახელმწიფო სუბსიდიამ 3 017 000 ლარი შეადგინა.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარების, სარწყავი და სადრენაჟე სისტემის რეკონსტრუქციის მიმართულებით 2023 წელს სამინისტროს პროგრამების ფარგლებში **სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული იყო - 1 197,8 ათას ლარზე მეტი,** რომლის ფარგლებში სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა 15 სარწყავ და დამშრობ არხს - 77,632 კმ -ზე. აღნიშნული არხები მოემსახურება 721,8 ჰა ფართობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება ბიუჯეტი 1 296,5 ათას ლარია. მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების

განვითარების ხელშეწყობის მიზნით წარმოებული იქნა - 300 000 ერთეული ჩითილი. მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში განხორციელდა - 1160 ფუტკრის ოჯახის სუბსიდირება. განხორციელდა ჯარას მეფუტკრეთა სერტიფიცირება.

ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი - ლაბორატორიული კვლევითი მომსახურების ფარგლებში ჩატარდა - 16 140 კვლევა; სასმელი, ზედაპირული, ჩამდინარე, ზღვის აუზებისა და წყალსატევების წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების - 14 971 კვლევა; მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების მიმართულებით - 156 კვლევა; ფერმერებისა და მიზნობრივი ჯგუფებისათვის გარემოს, ნიადაგისა და ფიტოსანიტარული მიმართულებით - 1013 კვლევა;
დამატებით პესტიციდების კვლევის გაფართოება განხორციელდა ნარჩენი პესტიციდების 21 სახეობაზე.

ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის მობილური, საველე ლაბორატორია სისტემატურად გადის მუნიციპალიტეტის თემებში, ფერმერების საკარმიდამო ნაკვეთებში და საჭიროებების შესაბამისად ადგილზე ახდენს ვიზუალურ და მიკროსკოპულ დაკვირვებას შემდგომი კვლევებისათვის (ნიადაგი, წყალი და ფიტოსანიტარული);

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები - ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების პარალელურად გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. 2023 წელს ბათუმში შავი ზღვის სანაპირო ზოლის პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები განხორციელდა. კერძოდ: ქ. ბათუმში ბათუმის გამწმენდი ნაგებობის მოპირდაპირედ, ასევე, აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ბილიკის და ე.წ. ახალი ბულვარის მიმდებარე მონაკვეთზე შავი ზღვის სანაპირო ზოლის ხელოვნური კვების სამუშაოები ჩატარდა.

გარემოსდაცვითი ღონისძიებები - განხორციელდა 105 ჩამდინარე და ზედაპირული წყლების მდგომარეობის მონიტორინგი. განხორციელდა ზღვის წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმება და ანალიზის ჩატარება.

აჭარის სატყეო სააგენტო - განხორციელდა სატყეო-სამეურნეო დანიშნულების 36,1 კმ ახალი გზის მშენებლობა და 180,8 კმ მეტრი არსებული გზის შეკეთება. შესრულებული სამუშაოს ბიუჯეტი 907 ათასი ლარია. შეძენილი იქნა 6 ერთეული მძიმე ტექნიკა ღირებულებით 1 637,3 ათასი ლარი;

ტყის დაცვა და მოვლა ფარგლებში დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა - ბიუჯეტი 406 ათასი ლარი;

განხორციელდა სანიტარული ჭრა, მავნებლებით დაავადებულ ნაძვნარებში -ბიუჯეტი 437 ათასი ლარი.

განხორციელდა რიგი ღონისძიებები ფაროსანას წინააღმდეგ - 2018 წლიდან 2023 წლის ჩათვლით, აჭარაში, ცივი შესხურებით შეიწამლა - 20,529.25 ჰა ფართობი, ხოლო თერმული ნისლით დამუშავდა - 91,540.00 ჰა ფართობი.

2023 წელს, რეგიონში განთავსდა - 520 ერთეული ფერომონი. გარდა ამისა, ცივი შესხურებით დამუშავდა 2,529.25 ჰა ფართობი, ხოლო თერმული ნისლით - 24,540.0 ჰა ფართობი.

აჭარის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, სოფლის მეურნეიბის სამინისტრო 2024 წელს ახორციელებს, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს. საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში მემცენარეობის, მეცხოველეობის, ტექნოლოგიური და ტექნიკური მიმართულებებით დაფინანსებული იქნება 3 000 მეტი პროექტი, რომლის ბიუჯეტი მიმდინარე წელს შეადგენს 3 781 712 ლარს. რაც შეეხება სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას, დაფინანსებული იქნება პროექტები 1 000 000 ლარის ფარგლებში.

2024 წლისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აგროსერვისის განვითარება, რომლის დაფინანსება შეადგენს - 8,160 160 ლარს. განახლდა ქვეპროგრამები: მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა, აგრომომსახურების განვითარება, სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლება, მეციტრუსეობის განვითრების ხელშეწყობა და სამელიორაციო სისტემების მართვა.

ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელსაც გაგრძელდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების უფასოდ დამუშავება. პროგრამის ფარგლებში 2200 ჰექტრზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ფართობის უფასოდ დამუშავება შესაბამის აგროვადებში წარმატებით დასრულდა ყველა მუნიციპალიტეტში, დაფინანსებით 1 284 000 ლარის ფარგლებში.

2024 წელს გაგრძელდა აგრარული ექსტენციის მიწოდება ყველა მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობის სხვდასხვა დარგების მიმართულებებით, ფერმერები და აგრომეწარმეები საველე პირობებში გადიან სწავლება-კონსულტირებას, რომლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 304 000 ლარით.

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების საქმიანობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყის დაცვა და მოვლა, ტყეების მდგრადი მართვა და ბიომრავალფეროვნების შენაჩუნება. 2024 წელს აღნიშნული პროგრამები დაფინანსდება 13 251 869 ლარით.

პროგრამა სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა გრძელდება 2024 წელს ბიუჯეტით 2 276 250 ლარი, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს ახალი სატყეო-სამეურნეო გზების გაყვანა და ძველი სატყეო-სამეურნეო გზების რეაბილიტირება;

2024 წელს გრძელდება ლაბორატორიული კლევითი ცენტრის მომსახურება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება, ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის მობილური, საველე ლაბორატორია სისტემატურად გადის მუნიციპალიტეტის თემებში, ფერმერების საკარმიდამო ნაკვეთებში და საჭიროებების შესაბამისად ადგილზე ახდენს ვიზუალურ და მიკროსკოპიულ დაკვირვებას, შემდგომი კვლევებისათვის (ნიადაგი, წყალი და ფიტოსანიტარული). მიმდინარე წლის ბიუჯეტი შეადგენს 1 317 292 ლარს.